№ 2866
ოთხშაბათი,
20 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2866
ოთხშაბათი,
20 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37

18 ივლისს ქ. თელავში გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ახალგაზრდა

სონა გიორგის ასული მაისურაძისა

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ბიძა მისი **ივანე ივანეს ძე მაისურაძე.**

პანაშვიდი ყოველ დღე: დილის 10 საათზე და საღამოთი 7 ს. გასვენება 21 ივლისს ღვთაებზის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა თელავის მთავარ-ანგელოზის სასაფლაოზე. (1—6.—1)

მეუღლე საშა დავითის ასული მარტიაშვილისა, ძმა ზაქარია ივანეს ძე მარტიაშვილი, ბიძა ნიკოლოოზ ზაქარიას ძე მათიაშვილი და ძალო ბარბარე მათიაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

კონსტანტინე ივანეს ძის მარტიაშვილისას.

პანაშვიდი და გასვენება ხუთშაბათს, 21 ივლისს დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—2).

ბესარიონ სოლომონის ძე ზალდასტანიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავის ძვირფას მეუღლის

ეკატერინე ზალდასტანიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება **სარაყამიშს** ამა ივლისის 21-ს. (1—1)

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უოგვლდ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
მახანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—60)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—5)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
18 ივლისს.

პეტერბურგი. მთავარ საზღვაო შტაბის ცირკულიარი. იაპონიის ტყვეობიდან დაბრუნებულმა მღვდელ-მონაზონმა ზოსიმემ, რომელიც ჯავშნოსან „სენიავინ"-ზე მსახურებდა, განაცხადა, ცუსიმის ბრძოლის დროს არავინ არ დაღუპულა ამ ჯავშნოსნიდან, ყველანი ტყვედ არიან წაყვანილნი.

პარიზი. „დეილი-ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი ერთხელ კიდევ ემუსაიფა „კაიზერ ვილჰელმ"-ზე ვიტტეს, რომელმაც განაცხადა, რომ ხელმწიფე იმპერატორი ისეთის განზრახვებით არის გამსჭვალული, რომელნიც ღირსნი არიან მთელის ქვეყნიერების პატივისცემისა და რუსეთის ნაციის მოწონებისათ. ვიტტე, იხელმძღვანელებს რა ხელმწიფის ჰუმანიურ მისწრაფებით, გააკეთებს ყველაფერს, რაც შეესაბამება რუსეთის პატივსა და ღირსებას. თუ ყოველი ცდა ფუჭად ჩაივლის, იმ შემთხვევაში, ვერავინ იტყვის მაინც, რომ რუსეთი არ იქცეოდა გულ-წრფელადო. „ჩემი პირდაპირი მიზანი,—ამბობდა ვიტტე—იქნება არა დაწყება მოლაპარაკებისა, არამედ მოლაპარაკებისთვის შესაფერ ბაზის გამონახვა, ამიტომ ჩემს საკუთარ მისიად არ მიმაჩნია მარტო ზავის ჩამოგდება, თუმცა მხურვალედ მსურს, რომ წილად მხვდეს ასეთი მიზნის განხორციელება, როცა მოლაპარაკების ბაზა გამოიძებნებაო.

სიმფეროპოლი. გაზეთებში გამოქვეყნებულია ჩვენის სტაციონერის კომანდირის მოხსენება რუმინიაში „პოტემკინ"-ის მატროსების შესახებ. რუმინები მტრულად უცქერიან მათ, სამუშაო არავითარი არა აქვთ, დაშლილები არიან და განზრახვა აქვთ რუსეთში დაბრუნდნენ. მთავარ კომანდირის განკარგულებით შავის ზღვის ფლოტის კომანდებს გააცნეს ეს ამბავი.

მოსკოვი. ბოლდიცოამ შეიპყრო პეტროვსკორაზუმოვსკის აგარაკზე შეხვედრებზე 6 კაცი და 3 ქალი. მათი მდიდრულად მორთული ეტლი ყველას ყურადღებას იქცევდა. საიდუმლო პოლიციის ერთმა აგენტმა გადაიცვა მეხიდედ, უთვალ-თვალა ამ კომპანიას და გაიგო, რომ ეს ბრბოა განთქმულის ქურდებისა. ამ დამეს ვარონცოვის ქუჩაზე გაჭრეს მესაათის მაღაზია და მოჰკლეს ორი ბიჭი, იქ მუშა.

მოსკოვი. არსდება მოსკოვის გუბერნიაში საზოგადო და კერძო დაწესებულებებში სახალხო საქმეებზე მოღვაწეთა ურთიერთ-შორის დამხმარებელი საზოგადოება.

ჰელსინგფორსი. 16 ივლისს სვეაბორგში, ცარევნას ბუხტაში, ნადმების ვარჯიშობის დროს, ორთქლ-მავალი კატერი დაეჯახა წყლის ქვეშ ნაღმს; 7 კაცი მოკლულია, 8 დაჭრილი.

მინსკი, დაასაფლავეს ცნობილი ელექტროლოგი პროფესორი ნარკევიჩ-იოდკო.

ლომჟა. საგუბერნიო სამმართველოსთან იხსნება საჯარო წიგნთ-საცავი.

ვარშავა, 18 ივლისი. გუშინ ღამით ყურნალთა ბრბო თავს დაეცა სადგ. პრაგას საქონლის გასაძარცვად. დარაჯი ეპირობდა აეტეხნა ყვირილი, მაგრამ იქვე იქნა სასიკვდილოდ დაჭრილი, რის შემდეგ დანარჩენმა დარაჯებმა ვერ გაბედეს ახლოს მისვლა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
18 ივლისი

ლონდონი, „ტაიმს"-ი იუწყება ტოკიოდან: იაპონიის გაზეთებს არ აწუხებს მონარქების შეხვედრა. გაზეთები იგონებენ, რომ ვილჰელმი ხელს უწყობდა ზავზე მოლაპარაკების დაწყებას და არა სჯერით, რომ ეხლა მან ხელი შეუშალოს საქმეს.

ვაშინგტონი. როგორც აქ ამბობენ, ლანსდოუნი დაიცავს პრინციპს „ინგლისი — მოკავშირეა იაპონიისა" და იგი ვერაფერს იკისრებს ისეთს, რაც სარგებლობას მოუტანს რუსეთს და ლოიალური გრძნობები არ აძლევენ მას ნებას რაიმე გავლენა იქონიოს ტოკიოში. იაპონიას ინგლისი მხოლოდ იმას ურჩევს, რაც იაპონიის ინტერესების დამცველი იქნება. ინგლისი დარწმუნებულია, რომ იაპონია ზომიერი იქნება მოთხოვნებში. ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ იაპონია არ დაიჟინებს ვლადივოსტოკისთვის იარაღის აყრასო.

ტოკიო. როჟესტვენსკი უკეთ ხდება. შუბლის ძვლის ოპერაციის შემდეგ ის დგება ლოგინიდან, ზის კრესლოში, მაგრამ ფეხის ტკივილი მაინც უშლის მოძრაობას, რის გამოც ვერ გამოდის ოთახიდან. ადმირალი კმაყოფილია მოვლით.

ნიუ-იორკი. სატო აცხადებს პეტერბურგის გაზეთების შენიშვნის შესახებ, მე ისეთი არა მითქვამს-რა, რისაც იმ აზრით ახსნა შეძლებულიყოს, ვითომც იაპონიის მთავრობას თავის რწმუნებულთათვის ინსტრუქციები მიეცეს. სატოს შესაძლებლად მიაჩნია რუსეთისა და იაპონიის შეთანხმება მანჯურიის ოკუპაციის შესახებ. გაზეთების ცნობით, კომურას მუდამ მოსდის ტელეგრაფის ცნობები ტოკიოდან მანჯურიაში ჯარის მცირედის მოძრაობის შესახებ.

ტოკიო. 15 ივლისს შუადღეზე სამხრეთისაკენ რუსებმა გამოადევნეს ერთი რაზმი, რომლის ქვეით ნაწილს შეადგენდა დაახლოვებით 800 კაცი; ამ რაზმს თავზე დაეცა მტერი 8 კილ. რიკოვიდან. რუსებს ჩვენის მარჯვენა ფრთის კოლონის წინააღმდეგ 3 ათასი ქვეითი, 4 ზარბაზანი და 4 ტყვიის მტორცხნელი ჰყავთ. მარცხენა ფრთის წინააღმდეგ იყო 2 ათასამდე ქვეითი და 4 ზარბაზანი. 200-ზე მეტი რუსია მოკლული, ტყვედ წამოიყვანეს 500. მეჯიდან მოსულ ცნობებით, მანჯურიიდან იქ მისული სამხედრო სპეციალისტები ირწმუნებიან, ლინევიჩმა შეისრულა უკვე მუკდენის დანაკლისი ჯარებში და ამ ჟამად 60—70 ათასით მეტი მეომარი ჰყავს, ვინემ მუკდენთანო. რუსებმა ააგეს ბევრი ახალი სადგური, გადაიქვთ ზარბაზნები და ყუმბარები წინა პოზიციებისკენო.

ლონდონი. „დეილი-ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი აუწყებს უმავთულო ტელეგრაფით გემ „კაიზერ ვილჰელმ"-იდან ვიტტესთან ნალაპარაკევს. უკანასკნელმა განაცხადა, რომ მას მინდობილი აქვს გაიგოს იაპონიის პირობები. თვით ეს ფაქტი, რომ ვიტტეს ასეთი მინდობილობა აქვს, იმის დამამტკიცებელია, რომ ხელმწიფე გულწრფელად მოქმედებს. ვიტტეს უთქვამს: „ვსთქვათ, რომ ომი დამოკიდებულია რუსეთის უარზე იაპონიის წინადადების მიღების შესახებ. ახლა იაპონიას განზრახვა აქვს სისრულეში მოიყვანოს თავისი პლანი. შემდეგისათვის მას იმედი აქვს, რომ სხვა საქმესაც დაათმობინებს. რადგანაც მე ამაში მოლაპარაკების კანონიერ საფუძველს ვხედავ, ამიტომ მზადა ვარ, საქმე გულდადებით განვიხილო, მაგრამ არ შემიძლიან სჯა-ბაასი ვიქონიო ისეთ მოთხოვნილებაზე, რომელიც დამყარებულია იაპონიის მომავალ გამარჯვებაზე".

პარიზი. დაბეჯითებით ამბობენ, რომ გერმანიის ელჩმა მადრიდში რადოლინმა წინადადება მისცა ესპანიის მთავრობას, მოუწოდოს მაროკოს კონფერენციას მადრიდში. თუ ეს ასეა, მაშასადამე, გერმანიის მთავრობას შეუცვლია აზრი, ვინაიდან იგი დღემდე დაჟინებით ითხოვდა კონფერენციას მაროკოში.

პავლოგრადი. გაიხსნა ილიინის იარმუკა.

პეტერბურგი. ოფიციალურად არ მტკიცდება ხმები მეშხედისა და ხორასანში ხოლერის გაჩენის შესახებ.

ლოძი. კომენდანტმა დახურა გაზეთი „გონეც ლოძსკი".

ტაშკენტი, 18 ივლისი. დილის 10 საათ. კავკასიელთა ბრბო დაეცა ეტლს, რომლითაც ხაზინის მოხელეებს ბანკიდან 135 ათასი მან. მოჰქონდათ. წაიღეს 20 ათასი მ. სამი დაიჭირეს, წაართვეს მათ 9 ათასი მ.

პავლოგრადი. დამზღვევმა საზოგადოებებმა მისწერეს თავიანთ აგენტებს, არ მიიღონ დასაზღვევად პური.

რეველი, 15 ივლისს. გაპსალის მაზრის რევიზიიდან დაბრუნდა გუბერნატორი. მან ისეთი აზრი გამოიტანა, რომ, თუმცა გლეხებს ძლიერი სჯა-ბაასი აქვთ მიმდინარე საკითხების შესახებ, მაგრამ ისინი მაინც მშვიდათ არიანო. ნდობით შეხვდნენ გუბერნატორის მოწოდებას,—პატივით მოეპყრან კანონებს, სხვის უფლებებს და სწამდეთ მთავრობის ზრუნვა. გუბერნატორის აზრით, დამნაშავენი მხოლოდ ფაბრიკების ამბების მეთაურნი არიან და სთხოვა გლეხებს, თავიანთი ყოფა-ქცევით გაანთავისუფლონ იგი მძიმე საჭიროებისაგან რეპრესიულ ზომების მიღებაში.

პეტერბურგი. სახელობითის უმაღლესის ბრძანებით სენატისადმი 13 ივლისის თარიღით, სამოსამართლო უწყება კავკასიაში იმგვარსავე წეს-რიგზე იქნება დამყარებული, როგორც წინად იყო, ნამესტნიკობის განახლებამდე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვიტტეს რწმუნება. გერმანულ გაზ. „პოსტ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რადგან საზღვარ-გარედ ვიტტეს რწმუნებაზე სხვა და სხვა ცნობები გავრცელდა, საჭიროა ეს საქმე გამოირკვეს. თავდაპირველად გადაჭრით უნდა გამოცხადდეს, რომ ვიტტეს მეტად ფართო რწმუნება აქვს და სრულიად თავისუფლად შეუძლიან იმოქმედოს. ვიტტეს შეუძლიან გულწრფელად და სერიოზულად აწარმოვოს მოლაპარაკება.

ფელეტონი

საქართველოს მეფე და იმისი უფლების ისტორია.

(შემდეგი *)

თავი მეშვიდე

მრავალი საბუთები, მაშასადამე, ცხადად გვიჩვენებენ, რა გამწვავებული ბრძოლა არსებობდა მთავრობისა და აზნაურთა შორის უფლების გამო და რამდენად შეზღუდული იყო ხოლმე მეფის მოქმედება აზნაურთა ძლიერებისა და წინააღმდეგობისაგან. მაგრამ თუ ამ ბრძოლის ვითარებას ჩავუკვირდით, უნებლიეთ შევამჩნევთ, რომ გამარჯვება საბოლოოდ ჯერ არც ერთ მხარეს არ დარჩენოდა; მართალია დავით აღმაშენებლის დროს მთავრობამ აზნაურებს აჯობა და ურჩი მოხელეები თავიანთ ქერქში ჩასვენა, მაგრამ დავითის მემკვიდრეები თანდათან უკან იხევდნენ და აზნაურებს ყველაფერს უთმობდნენ ხოლმე. ესეც უნდა ვსთქვას კაცმა, რომ დიდებული აზნაურები ბრძოლის დროს თავიანთ წინანდელ უფლებათა შენარჩუნებას ცდილობდნენ და რაიმე ახალი პოლიტიკური პროგრამმა და საკითხი, რამდენადაც ეს საბუთებიდან სჩანს, არ წამოუყენებიათ. ასე გამოურკვეველი იყო ეს ხანგრძლივი ბრძოლა თამარ მეფის დრომდე, თამარის მეფობაში-კი ბრძოლამ გარკვეული მიმართულება მიიღო და საქართველო ხელმწიფის უფლების შეზღუდვამდე მიიყვანა. ჯერ როცა თამარის ტახტზე ასვლას აპირებდა, მაშინვე შეშინდა გიორგი მეფე [იძულებული] იქნებოდა დიდებული აზნაურები თავის სურვილზე დაეთანხმებინა: წინად ქალი სამეფო ტახტზე არას დროს არ მჯდარა და ახალ წესის შემოღებისათვის, რასაკვირველია, მარტო გიორგი მეფის სურვილი არა კმაროდა. როცა თამარის მამა გარდაიცვალა, მაშინ-კი ცხადად გამოაშკარავდა, რა გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო გვირგვინოსანი ქალწული თუმცა მამამ თავის სიცოცხლის დროსვე აიყვანა იგი ტახტზე და ერთგულება თითონაც შეჰფიცა და ყველა მოყმეებსაც შეაფიცინა, მაგრამ გიორგის III სიკვდილის შემდეგ თამარმა მაინც უკან დაიხია და მართვა-გამგეობას თავი მიანება, მანამ არ „შემოკრბა შვიდთავე სამეფოთა დიდებულნი, რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და გამორჩევად" (ქარ. ცხ. 401) და ბჭობის შემდეგ თამარის მამიდას რუსუდანს არ მოახსენეს: „იწ კელჰყოს კელითა მეფობისა და კურთხევითა გვირგვინოსან ყოფად აღვიდეს და დაჯდეს საყდართა მამითა თვისთასა"-ო (ქარ. ცხ. 402). თუმცა მემატიანე ცდილობს ეს უცნაური შემთხვევა გამოაკეთოს, მაგრამ მაინც ცხადია, გიორგის სიკვდილის შემდეგ რადაც ამბავი მომხდარა, რომ ერთხელ ტახტზე ასული დედოფალი ხელ-მეორედ აუყვანიათ და გაუმეფებიათ. სამწუხაროდ, ისტორიკოსი მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ამ შემთხვევას და მკვლევარს არ შეუძლიან ამის გამოსარკვევად ამ მეტად საყურადღებო მოვლენას ჯეროვნად ჩაუკვირდეს. რაკი თამარი მამის დროსვე გამეფებული იყო, საქართველოში გიორგის სიკვდილის შემდეგ არავითარი ცვლილება არ უნდა მომხდარიყო; მემატიანე-კი გვაუწყებს: სამეფოს დიდებული შეიკრიბნენ, „რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და გამორჩევად"-ო და იმათ გადასწყვიტეს თამარმა ხელ-მეორედ დაიდგას გვირგვინი და მამა-პაპეულ ტახტზე აბრძანდესო. ყურადღება მივაქციოთ ამ პატარა, მაგრამ საგულისხმიერო წინადადებას: თურმე საქართველოში ზოგი დიდებულნი ღირსნი ყოფილან, ან უფლება ჰქონიათ „განზრახვად და გამორჩევად". ამისთანა სიტყვებს მემატიანე პირველადა ხმარობს, ჩვენი დანარჩენი მემატიანეები არსად არ იხსენიებენ ასეთ პირებს. ეს დიდებულნი შეიკრიბნენ და თამარის ხელმეორედ ტახტზე აყვანა გადასწყვიტეს. მაგრამ თვით თამარის დაგვირგვინების წესი უფრო საგულისხმიერო სურათს წარმოადგენს; ჩვენ აქ მთელ დაგვირგვინების წესს არ შევეხებით და მხოლოდ ერთ წვრილმან, მაგრამ მაინც საყურადღებო, შემთხვევაზე გავჩერდებით სიტყვის ჩამოგდებას. მემატიანე ამბობს: „სრულ ყვეს რა კურთხევაჲ, დალოცეს მაშინ კახაბერი კვირიკეს ძე ერისთავი რაჭისა და თაკვერისა და სრულ ჰყვეს მოკვლეთა სვიანთა და დიდებულთა: ვარდანის ძეთა, სადუნის ძეთა და ამონელის ძეთა მოღებად და დადებად კრმლისა"-ო (ქარ. ცხ. 403). ამ აღწერილობაში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ისტორიკოსის სიტყვა" სრულ ჰყვეს"-ო; ეტყობა ამ დიდებულთა გვარის შვილებს უფლება ჰქონიათ (ან იქნება მოვალეობა) „დაღებად" და „სრულ ყოფად", ესე იგი ნება დაერთოთ, რომ ერთ-ერთ დიდებულს სამხედრო ძლიერებისა და ჯარის უფროსობის სიმბოლო სახელმწიფო კრმალი თამარ მეფისათვის გადაეცათ; თითქოს დიდებულნი თამარს სიმბოლურად დაშქრის წინამძღოლობას ულოცავდნენო. რასაკვირველია, შეიძლება ეს ძველის-ძველად შემოღებული წესი იყოს (მაშინ უფრო მეტი ყურადღების ღირსი იქნებოდა ეს ჩვეულება), მაგრამ მაინც თამარის დროს დიდებულთა „სრულყოფასა" და „დადებას" განსაკუთრებული და გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამარი ერთხელ უკვე დაგვირგვინებული იყო და სწორედ ამავე დიდებულთა გადაწყვეტილების გამო ხელ-მეორედ დაიდგა თავზე გვირგვინი; ყურადღების ღირსია აგრეთვე, რომ დაგვირგვინების წესი ასე დაწვრილებით აუსრულებიათ და ისტორიკოსიც ასე გრძლად მოგვითხრობს ამ ამბავს. ნუ თუ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა და რაიმე მიზეზი არ იყო? შეუძლებელია; თამარ მეფის ხელ-მეორედ დაგვირგვინების დროს დიდებული აზნაურები უკვე გათამამებულნი იყვნენ. ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ დიდებულნი და გვარიანნი აზნაურები მთავრობას პირდაპირ შეებრძოლნენ კიდეც. როცა საეკლესიო კრება თამარის დამრცხებით გათავდა და კათალიკოსმა მიქელმა მეფეს აჯობა, „მაშინ იწყესო", მოგვითხრობს მემატიანე, დაუდგრომელობისა საქმე დიდებულთა ვიეთმე კელისუფალთა: ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ „აღარ ვეგებით ძველთა კელისუფალთა და განმგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დამძვრცილნი და უპატიოდ დასულნი ვართ, და გვარიანნი და თვთმსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახოდ განსულნი ვართ უგვაროთა და უკამათაგან" (ქრ. ცხ. 407). *) ამ ძვირფასს ცნობიდანა სჩანს, რომ გვარიან და დამსახურებულ აზნაურთა სახლები, რომელთაც რაიმე მოხელეობა ვერ კიდევ შერჩენილი ჰქონიათ, შეერთებულან და ერთი-ერთმანეთისათვის პირი მიუციათ მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიოთ, რაკი საქართველოს ბატონები სულ იმის ცდაში არიან დიდებული აზნაურები უკან დააყენონ, „უგვაროს" კაცებს-კი დააწინაურებენ. ეს „უგვარობი", ანუ დაბალ წოდების წევრნი მეფეებს ერთგულად ემსახურებოდნენ და მათ ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებდნენ ხოლმე. მემატიანეს ზემომოყვანილი სიტყვები გვიხვენებენ, რომ თუმცა დავით აღმაშენებლის მემკვიდრეები სახელოვან ხელმწიფეს ძლიერებით ვერ შეედრებოდნენ და ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ კიდეც დიდებულებისათვის დაეთმოთ, მაგრამ მაინც მათაც წინანდებურად ყოვლით ლონისძიება უხმარიათ, რომ უმაღლესი მოხელეობა გვარიან აზნაურებისათვის არ მიეცათ და დაბალ წოდების წევრებისათვის ეწყალობებინათ. ეტყობა, ჩვენ მეფეებს თავიანთი წადილი აუსრულებიათ კიდეც; ამას დიდებულ აზნაურთა სიტყვები ამტკიცებს: „აღარ ვეგებით ძველთა ხელის უფალთა დ. განმგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნიო", გაიძახოდნენ ისინი; ცხადია მაშასადამე, რომ ძველ მოხელეთა შორის დაბალ წოდებიდან ბლომადა ყოფილან, დიდებულ აზნაურთა გვარის შვილებს-კი იმათ ბრძანების აღმასრულებელნი და ხელქვეითნი გამხდარან. თამარის გამეფებამდე გულნატკენ დიდგვარიან მოხელეებს თავიანთი დამცირება უთმენიათ, მაგრამ როცა უგრძვნიათ,—ეხლა-კი მარჯვე დრო დაგვიდგაო, ყველანი ერთად გაფიცულან და მეფისათვის გამოუცხადებიათ; დაითხოვეთ ყველა ძველი „უგვარო" ხელისუფალნი და მხოლოდ ჩვენ წრიდან დანიშნეთ მათი მოადგილეები, თორემ ჩვენ იმათ ამიერიდან აღარ დავემორჩილებითო. რამდენადაც საბუთებიდან სჩანს ეს, პირველი წოდებრივი საბუთეიყო საქართველოში პოლიტიკურ უფლებათა, ან უპირატესობის მოსაპოვებლად. დიდგვარიანი აზნაურები დარწმუნებული ყოფილან, რომ ერთობლივ გაფიცვით და სამსახურის მინებებით თამარ მეფეს აიძულებდნენ მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. გაფიცულებმა პირველად „ერთგული და კარგი მოყმე და ჭაბუკი", „გაზრდილი პატრონთაგან", „ამირ სპასალარი და მანდატურთ უხუცესი" უუბარი ამოიღეს ნიშანში; იგი ფილენჯის სენით იყო ავად (ქარ. ცხ. 407). აზნაუ-

---

*) იხ. „ცნ. ფურ." № 2864.

*) როგორც ამ აზნაურთა გაფიცვისა ისე იმ პოლიტიკურ მოძრაობის შესახებ, რომელზედაც მე-8 თავში გვექნება ლაპარაკი, ბ. მ. ჯანაშვილსაც აქვს დაწერილი თავის თხზულებაში „Царица Тамара", მაგრამ ყველაფერი გადაურევია ავტორს. (იხ. ჩემი ბიბლიოგრაფიული წერილი „Визант. Врем."-ში 1904, № 1 და 2).

რაკება და ბევრი რამ დაუთმოს იაპონიას. სამხედრო კონტრიბუციის საქმე ზავის ჩამოგდებას ხელს ვეღარ შეუშლის. თუ იაპონიაც ზომიერად მოიქცევა, შეიძლება ზავის საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდეს. („ს. ო.“).

იაპონიის მოთხოვნილება. „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტს ერთ გამოჩენილ ინგლისელ დიპლომატთან უსაუბრნია საზავო პირობაზე. დიპლომატს უთქვამს: ინგლისის მთავრობამ კარგად იცის იაპონიის მოთხოვნილება. რასაკვირველია, გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, ვითომ იაპონიის დღევანდელი მოთხოვნილება სრულიად ჩაიწერებოდეს საზავო ხელშეკრულობაში, მაგრამ ტოკიოს სამინისტროს მოთხოვნილებათა შორის ორი-კი აუცილებლად უნდა ასრულდეს: სამხედრო საზღაურის გადახდა და ტერიტორიის დათმობა.

იმავ გაზეთს ატყობინებენ პეტერბურგიდან: რუსეთის მთავრობა მზადაა იაპონიას კუნძული სახალინი დაუთმოს და სამხედრო საზღაური გადაუხადოს, თუ-კი ეს იკმარებს ზავის მალე ჩამოგდებისათვის. კორესპონდენტი იუწყება, იაპონია არ მისცემს ნებას რუსეთს, რომ საზავო მოლაპარაკება გააჭიანუროს. კონტრიბუციას იაპონია იმდენს მოითხოვს, რამდენიც დაეხარჯა ომზე, ესე იგი ორ ნახევარ მილიარდ ფრანკსაო. („ს. ო“).

ვენური „ტაგებლატ“-ი იუწყება: ერთმა დიპლომატმა სთქვა, იაპონია შემდეგს პირობას წარუდგენს რუსეთსაო: იაპონია არ მოითხოვს ვლადივოსტოკის სიმაგრეების დანგრევას, არც ფლოტის ყოლას აუკრძალავს ვლადივოსტოკში; ციმბირის რკინის გზის მეორე ლიანდაგზე ხმასაც არ ამოიღებს. იაპონია მოითხოვს: მანჯურიდან ჯარის გაყვანას, პორტ-არტურსა და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულს და რკინის გზას პორტ-არტურიდან ხარბინამდე, რკინის გზის ფასს მოთხოვნილ კონტრიბუციიდან გამოჰრიცხავსო. („ს. ო.“).

რუს მღვდლების ნაამბობი. ჯავშნიან გემ „ადმირალ უშაკოვ“-ისა და „ადმირალ სენიავინ“-ის მღვდლები მამა იოანე და მამა ზოსიმა, პეტერბურგს დაბრუნებულან და „რუსი“-ის თანამშრომლისათვის უამბნიათ, იაპონელებმა მეტად კარგად ექცეოდნენ ტყვე რუს მეზღვაურებსაო. მამა ზოსიმას უთქვამს: „გულ ახდით გეტყვით, რომ არ მოველოდი ასეთ მოქცევას. როცა ხმელეთზე გადაყვანა დაგვიპირეს, მატროსებმა გემზე ღვინის ოთახი დაანგრიეს და ბოთლები დაიტაცეს. მე ვუთხარი მატროსებს, რა დროს ეგაა, როდესაც ჩვენის ძმების ნაწილი დაიღუპა და ჩვენს სამშობლოს თავი მოეჭრა. ამ დროს ჩვენთან ერთი იაპონელი იდგა, ჩემი ნალაპარაკევი ვერ გაიგო, იფიქრა, ალბად, ხალხს აღელვებსო და უფროსთან წავიდა. უფროსი მოვიდა, გაჯავრებით შემომხედა, მაგრამ ხმაც არ გამცა, მხოლოდ უფრო ბეჯითად დამიწყეს ყურის გდება; მაინც მეტად ზრდილობიანად გვექცეოდნენ და უმთავრესად საყურადღებო ისაა, რომ ტყვეების მდგომარეობაში შედიან. ასე, მაგალითად, როცა ჩვენ ხმელეთზე გადავედით, მხოლოდ რამდენიმე კაცი მივდიოდით, მარტო ერთი იაპონელი მოგვდევდა თან და [illegible]ზაურებს ვგვანდით, ვიდრე ტყვეებს. ამიტომ ჩვენ რომ მივდიოდით, ხალხი აღარ შეჰყოლა და ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია. თუ რამდენად უფრთხილდებიან ტყვეების თავმოყვარეობას იაპონელები, ეს შემდეგიდან სჩანს. ცუსიმას ბრძოლის შემდეგ, პირველ კვირა დღეს, იაპონელებმა დიდებული პროცესია გამართეს სიმღერითა და „ბანზაი“-ს ძახილით, მაგრამ როცა ჩვენ მოგვიახლოვდნენ, მთელი პროცესია, სულ მცირედ ხუთი ათასი კაცი, გაჩუმდა და ჩუმად გაიარა, რომ სიმღერითა და მხიარულებითა ჩვენთვის დარდი არ გაეორკეცებინა. იაპონელ აფიცრებისა და სალდათების ურთიერთობაც ვნახე. ეს ურთიერთობა იმდენად უბრალოა, რომ უცნაურად გვეჩვენა. სამსახურს გარედ, უბრალო სალდათი აფიცერთან მიდის, ცეცხლსა სთხოვს, პაპიროზს უკიდებს და ესაუბრება. სამაგიეროდ სალდათები მეტად ერთგულები არიან საქმისაც და აფიცრებისაც. ჩვენში? ლანძღვა-გინების მეტს სხვა ლაპარაკს იშვიათად გაიგებთ... („რ.“).

ცუსიმას ბრძოლა. „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება ვლადივოსტოკიდან: აქ დაღუპულ „იზუმრუდ“-ის მეზღვაურები მოვიდნენ ოლგის ბუხტიდან და, სხვათა შორის, შემდეგი, საყურადღებო ცნობები გვიამბეს ცუსიმას ბრძოლაზედ: ბრძოლის დროს ადმირალის გემი არავითარ სიგნალს არ აძლევდა რუსის ესკადრას და ყველა ჯავშნიანი გემი მოწინავე გემს მისდევდა. იაპონელები-კი სულ უმავთულო დეპეშით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. თუმცა ჩვენი გემები იგებდნენ იმათ დეპეშებს და იმათ ლაპარაკის შეწყვეტა შეიძლებოდა, მაგრამ 14 მაისსავე დილით ადრე, როცა კრეისერ „ურალ“-ის ძლიერმა ტელეგრაფმა იაპონელების დეპეშა პირველად მიიღო, როჟესტვენსკიმ ბძანება გასცა, ლაპარაკს ნუ დაუშლითო, მხოლოდ იმათი დეპეშები ჩასწერეთო. ბრძოლის დროსაც ასრულებდნენ ამ ბრძანებას. ასე რომ იაპონელები დაუბრკოლებლად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და თუმცა ხშირი ჯანღი იდგა, მაინც სწორედ იცოდნენ ბრძოლის ვითარებაო.

იაპონიის ჯარი სახალინზე. „რუსსკოე სლ.“-ს ატყობინებენ კადიდიდან: ცნობა მოვიდა, რომ სახალინზე იაპონიის მეშვიდე სარეზერვო ბრიგადა (ორი პოლკი) გადასულა. ამ ბრიგადაში სულ მეთევზეები მსახურებენ კუნძულ იეზოდან და ყველამ კარგად იცის სახალინის ავი და კარგი, რადგან ესენი თევზს სახალინის ნაპირებთან იჭერენ. ბრიგადას გენერალი ტაკენაუჩი უფროსობს. („რ. ს.“).

ვლადივოსტოკი. ინგლისურ გაზეთების კორესპონდენტები ირწმუნებიან, რომ იაპონელები ვლადივოსტოკს გაცილებით სუსტ ციხედა სთვლიან, ვიდრე პორტ-არტურსაო. იაპონელები დარწმუნებულნი არიან, რომ ვლადივოსტოკის აღება ნაკლებ მეცადინეობასა და მსხვერპლს მოითხოვსო. ვლადივოსტოკის ფორტები გარშემო მდებარე გორაკებზეა აშენებული და კარგადაა შემაგრებული, მაგრამ [illegible] იაპონიის გემებს შორის მსროლელი ზარბაზნები [illegible] დააყენებენ ამ ფორტებს. ვლადივოსტოკის პორტში თხელი წყალია. ზოგიერთ ფორტზე, როგორც ირწმუნებიან, 10 დიუმიანი ზარბაზნები დგას დამალულ პლატფორმებზე. ალბად, „ბოგატირ“-იდან საუკეთესო ზარბაზნებს ხმელეთზე გაიტანენ და მკვიდრ სიმაგრეებზე დასდგამენ, „როსია“-ზე 4 რვა დიუმიანი და 16 ექვს დიუმიანი ზარბაზანია, ამდენივეა „გრომობოი“-ზეც, რომელზედაც ზარბაზნები კარგადაა დაფარული 6 დიუმიან ჯავშნით. ალბად, თავის დროზე, ისე როგორც პორტ-არტურთან, აქაც იაპონიის ნაღმიანი გემები დაეცემიან ვლადივოსტოკის პორტში მდგომ რუსის გემებს და უფრო მეტი შანსი ექნებათ გამარჯვებისა, რადგან აქაურ პორტს რამდენიმე შესავალი აქვს და იაპონიის ნაღმოსნებს პორტში შეპარვა შეუძლიანთ. („რ.“).

რას უნდა მოველოდეთ?

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მოუწვევია სხვა და სხვა ქალაქებიდან ზოგიერთ სოფლის მასწავლებელნი—ქართველები, სომხები და თათრები და დაუვალებია მათთვის შეადგინონ გეგმა სამშობლო ენაზე სწავლებისა სახალხო სკოლებში. მასწავლებელთა კომისიებმა მუშაობა უნდა გაათავონ სასწავლო წლის დაწყებამდე. შემუშავებული გეგმა წარედგინება დასამტკიცებლად ნამესტნიკს. იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში სკოლას და სამშობლო ენას, მგონი, მეტი უნდა იყოს. ბრმა და რეგვენი თუ უარჰყოფს მათ მნიშვნელობას, თორემ სხვა არავინ. ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება სხვა გარემოებას.

კავკასიის ოლქის მზრუნველის მიერ განზრახულმა „რეფორმამ“ შეიძლებელია ძირიანად შესცვალოს სახალხო განათლების საქმე კავკასიაში, მით უმეტესად, რომ შეცვლა დამოკიდებულია არა ოლქის მზრუნველის სურვილზე, არამედ საერთოდ რუსეთის ცხოვრების შეცვლაზე. დრო და სინამდვილე-კი თხოულობს არა პალლიატივებს, არამედ არსებით ცვლილებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ განზრახული რეფორმა სწორედ პალლიატივი იქნება, იგი დროებით დააშოშმინებს იარას, ცოტა ხნობით დაჰფარავს ჭრილობას და მორჩენით კი ვერ მოარჩენს. ავადმყოფობა ფრიად მძიმეა, რომ მისი მორჩენა შეიძლებოდეს ეგრე უმალ. სახალხო განათლების საქმე თვით ხალხის საქმეა და ვფიქრობთ, რომ ათიოდე მასწავლებელმა რიგიანად გადასწყვიტონ მათთვის მინდობილი მძიმე საქმე. ამიტომ საჭიროა, თუ გულწრფელად სურს უმაღლეს მთავრობას წესიერად გადასწყვიტოს დიდმნიშვნელოვანი საქმე, [illegible] სკოლის საკითხი გახ[illegible] [illegible] კარგად გვესმის, რომ „რეფორმა“ ხალხის დასაშოშმინებლად არის განზრახული, მაგრამ ვინ არის თავმდები, რომ რეფორმა, აჩქარებით და კაბინეტში შემუშავებული, მოიგებს ხალხის გულს და შეარიგებს სკოლას, რომელიც მან დაჰგმო. საქმე ხომ მარტო ის არ არის, რომ სკოლებში სამშობლო ენა შეიტანონ. ენა მხოლოდ საშუალებაა. საშუალება კი, ხომ მოგეხსენებათ, შეიძლება საკეთილოდაც გამოიყენოთ და საბოროტოდაც. საჭიროა სკოლის შინაარსის შეცვლა იმ სახით და იმგვარად, როგორც მოითხოვს ხალხის არსებითი საჭიროება.

მართლა, განა ეჭვის თვალით არ უნდა შევხედოთ იმ კომისიის მუშაობას, რომელიც შემდგარია ყველასათვის უცნობ მასწავლებლებისაგან. თუ გაისმა კრებაზე სამართლიანი, გულწრფელი და გაბედული ხმა მოწვეულ მასწავლებლებისა, იქნება იგი მიღებული მხედველობაში და დააჩენს რაიმე კვალს მთავრობის მიერ განზრახულ რეფორმას? ამაზე გადაჭრილ პასუხს ვერ მივცემთ, მაგრამ გულახდილად-კი აღვიარებთ, რომ კომისიას მხოლოდ სათათბირო ხმა ექნება, ისიც სატეხნიკო საკითხში. ძირითადი საკითხები კი უეჭველია უკვე გადაწყვეტილი აქვს უმაღლეს მთავრობას და სავალდებულო იქნება კომისიის წევრთათვის.

რასაკვირველია, კომისია სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუნდაც პირნათლად შეასრულოს მოვალეობა.

მასწავლებელი

ერობა ციმბირში

მეტად საინტერესო პროექტი შეუმუშავებიათ ციმბირში ერობის შემოღებისათვის. ჩვენში ეხლა დიდ ყურადღებას იწვევს ერობა და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დაახლოვებით მაინც გავაცნოთ მკითხველთ—რა სახისა და ხარისხის საერობო დაწესებულებანი განუზრახავთ რუსეთის მეორე განაპირა ქვეყანაში, რომელიც ჩვენ ქვეყანასავით დიდი ხანია ამაოდ ელოდა ამ რეფორმას. ციმბირში შედგენილი პროექტი მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის, რომ ზოგიერთი მისი ნაწილი გამოსადეგი იქნება ჩვენის ქვეყნისათვისაც და ადგილობრივ პრესსაშიაც ყოფილა აღნიშნული. ციმბირის ერობის პროექტი დაბეჭდილია რუსულს გაზეთებში, ჩვენ გადმოვბეჭდავთ „რუსსკ. ვედომოსტ.“-დან, სადაც იგი ზოგიერთის შემოკლებით არის დაბეჭდილი.

პროექტის I განყოფილებაში ლაპარაკია საერობო ნაწილებზე, ერთეულებზე. ერობის ერთეულები იქნება: ვოლოსტი, მაზრა, გუბერნია და ოლქი. ოლქად ითვლება **ციმბირის მთელი ტერრიტორია**, სადაც-კი საერობო თვით-მმართველობა იქნება შემოღებული. ვოლოსტისა, მაზრის და გუბერნიის ტერრიტორია დღევანდელ სააღმინისტრაციო საზღვრებში უნდა იყოს. როგორც ჰხედავთ, ამ მხრით ციმბირის პროექტი ეთანხმება ჩვენში გამოთქმულ სურვილსაც, რომ მთელი საქართველოსათვის შედგენილ იქნას საოლქო ერობა.

განყოფილება მე-II. საერობო თვითმმართველობის ორგანოებად უნდა იქმნენ: საერობო კრებანი, გამგეობანი და სპეციალური კომისიები. კრებათა თავმჯდომარეებს ხმოსნები ირჩევენ. ვოლოსტისა და მაზრის საერობო კრებათა ხმოსნებს ირჩევენ ვოლოსტების კრებებზე, საგუბერნიო და ოლქის ხმოსნებს—მაზრის კრებებზე. ხმოსნების ამოსარჩევად ყოველი ვოლოსტი იყოფა რამდენსამე საარჩევნო კრებად, რომელსაც გახსნის მომრიგებელი მოსამართლე, ხოლო თავმჯდომარე არჩეული უნდა იქმნას. ხმოსანთა რაოდენობა განისაზღვრება ვოლოსტის მცხოვრებთა რიცხვით; თითოეული სავოლოსტო ერობა შესდგება 15-30 ხმოსნისაგან, სამაზრო—30—50 ხმოსნისაგან, საგუბერნიო—50-80 ხმოსნისაგან, ხოლო საოლქო ერობაში 120 ხმოსნამდე უნდა იყოს. ხმოსნების ამომრჩევლებად უნდა იყვნენ ყველა მცხოვრებნი სქესის გაურჩევლად, სრულწლოვანნი, რომელნიც არა ნაკლებ 2 წლიწადისა ცხოვრობენ ამ ვოლოსტში. პოლიციის მოხელეთ და პროკურორებს ნება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. ხმოსნად შეიძლება ყოველის მცხოვრების არჩევა, რომელსაც-კი ნება აქვს კრებაში მონაწილეობის მიღებისა. ხმოსნები ჯამაგირსაც იღებენ იმდენს, რამდენს საერობო კრება დანიშნავს. საერობო გამგეობა შესდგება თავმჯდომარისა და წევრებისაგან, რომელთაც ირჩევენ არა მარტო ხმოსნებს შორის, არამედ ამომრჩეველთა შორისაც. საგუბერნიო და საოლქო გამგეობათა თავმჯდომარედ და წევრებად აირჩევიან მხოლოდ ისინი, ვისაც საშუალო განათლება მაინც აქვთ მიღებული, სამაზრო ერობაში—ვისაც დაბალი სასწავლებელი აქვს დასრულებული, ხოლო ვოლოსტის ერობის გამგეობის წევრებად და თავმჯდომარეებად შეუძლიანთ იყონ მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნეებიც.

(გაგრძელება ხვალ)

ახალი ამბავი

✦ **გაფიცულან საჩხერის საბლაღოჩინო ოლქის მედავითნეები.** როგორც გვატყობინებენ, მედავითნენი ამბობენ, მღვდლებზე ნაკლებ არა ვმუშაობთ და თუ შემოსავლის მესამედი არ მოგვეცა, მუშაობას არ დავიწყებთო.

✦ 22 ივლისისთვის ბორჩალოს მაზრის სოფელ ვორონცოვკაში დანიშნულია **კრება მალაკანთა წარმომადგენლებისა.** კრებას დაესწრებიან საზღვარ-გარეთიდან მოსული წარმომადგენელნიც. მალაკნებს უნდათ მოილაპარაკონ თავიანთ მდგომარეობაზე.

✦ 18 ივლისს, შუადღის 2 საათზე, კოპიტნარის სადგურის ბაქანზე ვიღაცამ **სამჯერ რევოლვერი ესროლა ლიანდაგის მეორე ნაწილის ზედამხედველს ლიკოვინს.** ტყვია მოჰხვდა გვერდსა და ნიდაყვში.

✦ **დ. საჩხერე.** 11 ივლისს რაჭისა და შორაპნის საზღვარზე გაძარცვეს რაჭველები ალექსი, თადეოზ და იოსებ რეხვიაშვილები. ამათ საქონელი ჩამოჰყიდეს, გაჰყიდეს და აიღეს 2400 მანეთი. როდესაც შინ [illegible] თავს დაესხმიან ტყიდან გამოვარდნილი შეიარაღებული კაცები, დაუწყიათ [illegible] სროლა და ალექსი და თადეოზ რეხვიაშვილები იქვე მოუკლავთ, ხოლო იოსებ რეხვიაშვილი კი მძიმედ დაუჭრიათ. წაუღიათ ორას თუმნამდე. დაჭრილი რეხვიაშვილი მგზავრებს უნახავთ შემთხვევით.

✦ „ტფ. გუბერნიის თავად-აზნ. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“

რებმა [illegible] [illegible] ამბობს: „[illegible] მოლებად ყოვლისა ბოროტებისა“-ო (ქარ. ცხ. 408). „გარნა ვერ იქმნა განზრახვა მათი, ვინათგან თამარ სახიერი იყო და მოწყალე, მოიხსენა სიყვარული და სამსახური და ზრდილობა მისი, [illegible] ხელისუფლობისა და ლორისაგან კიდე არა რაი დააკლო“-ო, დასძენს მემატიანე (ქარ. ცხ. 408). მაგრამ მეტი რაღა უნდა დაეკლო? მოხელეობა და სახელო ადგილი დარჩა ხომ წამოართვა? მართალია, გაფიცულ აზნაურებმა მოახსენეს ყოვლი ნაქონი წაართვით, მაგრამ იმათი უმთავრესი გულისწადილი ის იყო, უგვარო ყუბასარი დიდებული მოხელე ამირსპასალარი და მანდატურთ უხუცესი, აღარ ყოფილიყო, თორემ დანარჩენს დიდებული აზნაურები ადგილად დაუთმობდნენ მთავრობას. ამგვარად გაფიცულ აზნაურებმა თამარი აიძულეს მათი მოთხოვნა აესრულებინა. მე ვიმეორებ და ვამტკიცებ, რომ თამარ მეფე იძულებული იყო გაფიცულთა გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა; ყუბასარი სამსახურიდან იმიტომ-კი არ დაითხოვეს, რომ ფილტვის სენით იყო ავად, იხ. ბ. დ. კარიჭაშვილის „საქართველო მეთორმეტე საუკუნე“. გვ. 103—4), არამედ მხოლოდ იმის გამოისობით, რომ გაფიცულ აზნაურებმა ასე გადასწყვიტეს; ხოლო იმათ ისკი არ აწუხებდათ, ყუბასარი ავადმყოფია და საქმეებს ვერ გააკეთებსო, არამედ მარტო ის გარემოება რომ ყუბასარი უგვაროთა ჯაჭვს ეკუთვნოდა და რაკი „ერთგული“, „კარგი მოყმე“ და „პატრონთაგანი იყო გაზრდილი“, დიდგვარიან აზნაურებზე უმაღლესი მოხელეობა ჰქონდა ნაბოძები, მათ უფროსად ითვლებოდა. გაფიცულ აზნაურებს რომ ყუბასარის ავადმყოფობა ჰქონდათ სახეში როცა მეფეს თავიანთი მოთხოვნილება გამოუცხადეს, მაშინ პირდაპირ იტყოდნენ ყუბასარი სნეული კაცია და დაითხოვეთ და საზოგადოდ ლაპარაკს არ გააბამდნენ უგვარო დიდებული მოხელეები სამსახურიდან დაითხოვე და მათ ადგილს დიდგვარიანები დანიშნეო. რომ ბრძოლა და გაფიცვა წოდებრივ და პოლიტიკურ ნიადაგზე იყო დამყარებული და აზნაურებს დიახაც უნდოდათ წოდებრივი უპირატესობა მოეხვეჭნათ, ამას ცხადად მეორე უგვარო მოხელის დამხობის გარემოება და მიზეზი ამტკიცებს. მემატიანე მოგვითხრობს: „კვალად აფრიდონ აზნაურობის ყმობისაგან ღვთის მობაძავის წყალობით ამაღლებული და განდიდებული, ვიდრე მსახურთ-უხუცესობამდი და თმოგვისა და სხუათა ციხეთა პატრონობითა აღზევებული, მოიშალა და დაიმკო ნებითა და განზრახვითა ლაშქართათა“. (ქარ. ცხ. 408). აფრიდონი ხომ მოხუცებული, ან ავადმყოფი არა ყოფილა, მაგრამ ისიც „დაემხო ნებითა და განზრახვითა ლაშქართა“, ე. ი. იმავე დიდგვარიან მოხელეების სურვილისამებრ. ამ შემთხვევაშიც გაფიცულმა აზნაურებმა აჯობეს მეფეს. მერე [illegible] აფრიდონი რად ამოიღეს? ისტორიკოსის სიტყვებიდან სჩანს, რომ მარტო იმის გამო რომ იგი ერთ დროს „აზნაურის ყმა იყო, ერთი სიტყვით, ისეთ კაცად ითვლებოდა, რომელიც წოდებრივად გაფიცულ აზნაურებს ექვემდებარებოდა, მეფეს კი აფრიდონი აუმაღლებია, მსახურთ-უხუცესობის მოხელეობა უბოძებია და სხვა დიდგვარიან მოხელეებისათვის თავზე დაუსვამს.

ერთი სიტყვით, დიდგვარიანი აზნაურები გაიფიცნენ და მეფეს გამოუცხადეს, არც წინანდელ წესს, არც წინანდელ უგვარო დიდებულ მოხელეებს ჩვენ აღარ დავემორჩილებითო. დაითხოვეთ ისინი ყველანიო. თამარ მეფე იძულებული იყო გაფიცულ დიდგვარიან მოხელეების მოთხოვნილება აესრულებინა. ასე გაიმარჯვა დიდგვარიანმა აზნაურობამ. საქართველოს ბატონს უფლება შეუზღუდეს; მას თავის სურვილისამებრ მოხელეთა ამორჩევა და დანიშვნა არ შეეძლო. ამიერიდან უმაღლესი მოხელეობა უეჭველად დიდებულ აზნაურთა გვარის შვილებს უნდა რგებოდა. ამგვარად საქართველოს მეფეების ასი წლის მედგარმა, მძიმე შრომამ და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობელობა როგორმე გაემაგრებინათ, ფუჭად და ამაოდ ჩაიარა. რასაკვირველია აზნაურთა გაფიცვამ და გამარჯვებამ მხოლოდ უმაღლეს წოდების უპირატესობის დამკვიდრებას შეუწყო ხელი და წოდებათა თანასწორობასა და პირად ღირსების მნიშვნელობას ნიადაგი გამოაცალა. ამის გამო თუმცა გაფიცულ აზნაურთა გამარჯვების შემდეგ საქართველოს მეფის უფლება შეზღუდვილი იყო, მაგრამ პოლიტიკურად მხოლოდ მაღალ წოდებას მიანიჭა ამან უპირატესობა, დაბალი წოდება კი პირიქით დაეცა კიდეც. ერთი სიტყვით ეს აზნაურ-მოხელეთა გაფიცვა უფრო წოდებრივ რეაქციის ნაყოფი იყო, ვიდრე სახელმწიფო წესწყობილების წარმატება.

თავი მერვე.

საბედნიეროდ, საქმე აზნაურთა გაფიცვის შემდეგ არ შეჩერებულა. ცოტა ხანმა გაიარა და გახდა მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ-არსლანი, მემატიანეს სიტყვით „[illegible] იქმნა წესსა რასამე სპარსთა გზნება მადლობისასა და სიმდიდრით ქცევისასა, ითხოვა დადგმად კარვი ველსა ისანისასა, სანახებსა საგოდებელისასა „მუნ შიგან თავისუფლად მსხდომარენი, რათა მივცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხვიდეთ, რომელთამე ვსწყალობდეთ; ამას ესრეთ ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მუნით სრულ იქმნებოდის განგებული ჩვენი“-ო (ქარ. ცხ. 408). როცა თამარ მეფემ ყუთლუ-არსლანის და იმის მომხრეების განზრახვა შეიტყო, ისტორიკოსის სიტყვით „ვითარცა შვენოდა მისსა ხელმწიფობასა და სიბრძნესა და მეცნიერებასა ეგრე ეწყინა და გაიკვირვა“-ო (ibid. 468); მოიწვია საჩქაროდ თავისი „ერთგულნი და საკუთარნი“ და მთავრობის მდგომარეობის შესახებ თათბირს შეუდგა. ბჭობის შემდეგ თამარ მეფემ „იძია ღონე შემსგავსებული სიბრძნისა მისისა, რათამცა კელთ იგდო მომქმედნი ამის საქმისანი... და შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთ უხუცესი“ (ibid. 408). როცა მოთავე დაიჭირეს და „ცნეს ესე ლაშქართა მის თანაშემწეთა და თანამეფიცულთა მისისა უკეთურებისათა, შეეყარნეს და უკუ აგდეს თამარს სახიერსა და ბრძენსა და ყვეს ახალი სიმტკიცე და ფიცი, რათა ყუთლუ-არსლან გაუშვებიხონ და არა მიუშვან ვნებად მისსა, და განემზადნეს ისინისაცა შემოდგომად და კელ ყვეს საქმესა შეუძლოებელსა და ბრძოლად უბრძოლველსა“-ო (ibid. 409), მოგვითხრობს მემატიანე.

ვიდრე ამ შესანიშნავ შემთხვევის მოთხრობას განვაგრძობდეთ, საჭიროა მემატიანეს სიტყვებს ჩავუკვირდეთ და განვმარტოთ; თავდაპირველად, რასაკვირველია უნდა თანამეფიცულთა დასის მეთაურს მივაქციოთ ყურადღება: იგი მეჭურჭლეთ-უხუცესი, ანუ ფინანსთა მინისტრი გახლდათ, უგვარო და დაბალ წოდების ჩამომავალი იყო, მაგრამ სიმდიდრეს იგი აუმაღლებია; მემატიანე უეჭველად სწორედ ამიტომ ამბობს ყუთლუ-არსლანზე: „გვართაი უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“-ო ibid. 408); იქნება იგი დიდ-ვაჭარი იყო, მაინც და მაინც იგი პლუტოკრატიის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. ვინ იყვნენ ამ დასის თანამეფიცულნი, რომელთა მეთაურადაც ყუთლუ-არსლანი ითვლებოდა? დიდ-გვარიანი აზნაურები გაფიცვისა და გამარჯვების შემდეგ [illegible] ამ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობას არ მიიღებენ; განა იმათ შეეძლოთ ვიდრე „გვართა უაზნოთა“ „სიმდიდრით ამაღლებული“ მოხელე ეწინამძღვრათ? მართალია, მემატიანეს სიტყვიდან სჩანს, რომ ამ დროის წევრებად „დიდებულნი“-ც ბრძანებულან, მაგრამ დიდებულის სახელი მარტო აზნაურს ხომ არ ერქვა, დიდებული—ხელისუფალიც იყო, დიდვაჭარიც. *) დაბალ წოდების კაცის მეთაურობა და თვით თანამეფიცულთა მოთხოვნილება და მოქმედება ხომ უფრო მეტს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დიდგვარიან აზნაურებს ამ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ეს თანამეფიცულნი განსაკუთრებით მაღალ წოდების მოწინააღმდეგენი უნდა ყოფილიყვნენ.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია რასაკვირველია ამ თანამეფიცულთა წადილი და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ცვლილების გეგმა. ისინი თხოულობდნენ, რომ კარავი უსათუოდ ისნის ველზე დადგმულიყო; ისანი იმიტომ იყო ამორჩეული იმ დაწესებულების ადგილად, სადაც, „თავისუფლად მსხდომარენი“ სამეფო საქმეები უნდა გაერჩიათ, რომ იქვე ისნის ველზე თამარ მეფის სასახლე დარბაზი იდგა. როგორც ეტყობა, მათ სურდათ, რომ ორი სამეფო დაწესებულება ერთად, ერთი მეორეს გვერდით ყოფილიყო.

ერთი სიტყვით სამეფო პალატის გვერდით კარავში „თავისუფლად მსხდომარენი მივცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხევდეთ, რომელთა მე ვწყალობდეთ“-ო ამბობდნენ თანამეფიცულნი. ყურადღება მივაქციოთ, დასი თავისუფლებას თხოულობდა; რასაკვირველია, მას მეფისაგან დამოუკიდებლობა და თავისუფლება ექნებოდათ სახეში; თანამეფიცულთ სურდათ, რომ ბჭობის დროს მეფე არ ბრძანებულიყო და საქმეში არ ჩარეოდა.

რა უნდა გაეკეთებინათ მერე იმ კარავში? „მივსცემდეთ და მოვიღებდეთო“ მოკლედ არის მოჭრილი მათი სიტყვა, ესე იგი მი-

---

*) ეს ცხადათ სჩანს ყველა საბუთებიდან; ამაზე ჩვენ ცალკე გამოკვლევაში გვექნება ლაპარაკი.

ყოფილ კრების თავმჯდომარემ, ბ. ვირსალაძემ, წერილობით აცნობა ყველა ახლად არჩეულ **გამგე კომიტეტის წევრთ** მათ არჩევის შესახებ და კერძოთ ბ. გოთუას დეპეშით შეატყობინა, სიჩქარო საქმეების გამო თქვენი ტფილისში დაუყონებლივ ჩამოსვლაა საჭიროო.

✦ ტფილისში **ადგილობრივ მაჰმადიანებს განუზრახავთ** მაჰმადიანთა კლუბის დაარსება. ბანქოს თამაში და მაგარ სასმელების ხმარება ამ კლუბში აღკრძალული იქნება. („ნ. ო.").

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ მოწერილობა მიიღო გუბერნატორისაგან. გუბერნატორი ატყობინებს, სისრულეში არ მოიყვანოთ ქალაქის საბჭოს ორ ივნისის დადგენილებაო. ეს დადგენილება **ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებაზე** მომხდარ ინციდენტს შეეხება.

✦ **სოხუმის ეპისკოპოსის კათედრა** ნოვოროსისკში გადააქვთ. იქვე გადააქვთ ქუთაისში დახურული სემინარია. (ჩ ვ.).

✦ **სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე ოლოევი** რუსეთში გადაჰყავთ.

✦ ფიქრობენ გააუქმონ ახლად დაწესებული **ბაქო-ალექსანდროპოლის საეპისკოპოსო კათედრა.** („ტ. ლ.").

✦ **კავკასიაში მცხოვრებმა ბერძნებმა** მინისტრთა კომიტეტს პეტიცია გაუგზავნეს თავიანთ საჭიროების შესახებ. კომიტეტის თავმჯდომარეს ეს პეტიცია კავკასიის ნამესტნიკისთვის გამოუგზავნია.

✦ **ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. დადიშქელიანი,** როგორც „ჩ. ვ." გადმოგვცემს, ინიშნება საგანგებო საქმეთა მოხელედ კავკასიის ნამესტნიკთან.

✦ გუშინ რუსულ გაზეთებიდან გადმობეჭდილი გვქონდა **სახალხო სკოლების დირექტორის ლევიცკის სიკვდილის ამბავი.** ეხლა, როგორც „ტ. ლ." სწერს, ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია.

✦ ტფილისის ქალ-ქის გამგეობამ სთხოვა კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, გადაუხადოს ქალაქს ის 16,000 მან., რომელიც ერგება როგორც დასაფასებელი გარდასახადი.

✦ ტფილისის დურგალთა ამხანაგობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია უსახსრობისა გამო. ხარჯი ბლომად აქვს არტელს, ხოლო გასტუმრება კი უჭირს, რადგან სამუშაო არა აქვთ. წევრებმა კრება დანიშნეს 17 ივლისისათვის და რადგან არ შესდგა, სხვა დროსათვის გადასდეს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განუმარტა სავაჭრო პოლიციის აგენტებს, რომ იმათ, ვისაც დასაფასებელი გადასახადი არ შეაქვს კასსაში, შეუძლიათ სახლი აუწერონ. ნედოიმკების ასადებად აგენტებს შეუძლიათ მოძრავი ქონებაც კი ჰყიდონ. იმ შემთხვევაში შეუძლიათ ასე მოიქცნენ, თუ პატრონები დასთანხმდებიან.

✦ 18 ივლისს ძლიერ ქარისაგან ტფილისის მაზრის სოფ. ვაკეში დალოევის სახლის ერთი კედელი ჩამოინგრა. კედელი დაეცა აკოფ აკოფოვის ქოხს და დაანგრია. მცხოვრებთ ძლივს მოასწრეს გამოსვლა. მსუბუქად დაშავდა მელანია ოსიპოვის ქალი, სასიკვდილოდ დაშავდა ყმაწვილი პეტრე კაიზოლოვი.

✦ 18 ივლისს პოლიციის მე-3 ნაწილში მტკვრის პირად საბანაოდ ჩასულიყო ტფილისის მცხოვრები სტეფანე მარტიროზოვი. მარტიროზოვი წყალმა ჩაითრია და წაიღო. მაგრამ ჩაეშველა ნავარსადოვი და გადაარჩინა.

✦ 18 ივლისს დიდუბეში ცეცხლი გაუჩნდა გუმბორტის სახლს. ცეცხლი ჩააქრო მქრობელმა რაზმმა. ზარალი 200 მანეთამდეა.

✦ სად. განჯა. 15 ივლისს, დილის ათ საათზე მე-458 ვერსზე ლიანდაგის დარაჯის ცოლს კარაპეტოვისას დაეცა სამი თათარი, გააუპატიურა და შემდეგ საშინლად სცემა.

✦ რიყეზე მცხოვრებმა ვოდოპიანოვმა პოლიციას გამოუცხადა ამ ორი დღის წინად, ჩემი 14 წლის შვილი სახლიდან გავიდა და სადღაც გადაიკარგაო.

სოფლად

სოფ. ბორბალო. ამ დღეებში აქ ჩამოვიდა გენ.-მაიორი თავ. ი. ს. ჭავჭავაძე, რომელსაც თან მოჰყვა თავ. ლ. ჯანდიერი და სხვები. ამათი ჩამოსვლის მიზეზი, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, იყო მემამულეთა და გლეხთა მორიგება; ასეთი დავალება მიუცია კომისიისათვის კავკასიის ნამესტნიკს თავ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს.

ჩვენი სოფლის საზოგადოება ოთხ სოფლიდან შესდგება. როგორც სხვა ადგილებში, აქაც გამწვავდა გლეხთა და თავად-აზნაურთა ურთიერთობა, უმთავრესად მიწათმფლობელობისა და მიწა-წყლით სარგებლობის გამო. შევიწროებულნი გლეხნი იძულებული გახდნენ გაფიცვისა და სხვა ამგვარებისათვის მიემართნათ. ჩამოსულმა ზემოდ აღნიშნულ კომისიამ შეჰკრიბა ხალხი და ურჩია შერიგება. სჯა-ბაასისა და რჩევა-დარიგების შემდეგ მემამულენი და გლეხნი შეთანხმდნენ: დესეტინაზე ხუთი მანეთი გადასახადი დააწესეს. ამაზე თანხმობა გამოაცხადეს ჩვენის საზოგადოების სამის სოფლის თავად-აზნაურებმა.

სამწუხაროდ, ასეთი დადგენილება არ ესიამოვნათ ბორბალოს ზოგიერთ მემამულეთ გამოაცხადეს—ჩვენთვის სავალდებულო არ არის სხვა სოფლების მაგალითი, ჩვენ ვერ დავთანხმდებით ხსენებულს პირობებზეო; ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია მოსავლის მეოთხედზე შევთანხმდეთ და ამაზე ნაკლებს ვიყაბულებთო. გამწარებულმა სოფელმა ასეთ განცხადების შემდეგ ისევ ბოიკოტს მიჰმართა და წაართვა მემამულეთ მოჯამაგირეები. ურთიერთობა მეტად გამწვავდა, გლეხები სამართლიანად ამბობენ: თუ ჩვენის ქვეყნის სხვა სოფლებში მოხერხდა ხუთ მანეთზე შეთანხმება, ჩვენ ვის რა დავუშავეთ და წინანდელზე უარეს ყოფაში რისთვის უნდა ჩაგვაგდონო?! გლეხებს რამდენიმე კაციც აურჩევიათ და ტფილისს გაუგზავნიათ მომრიგებელ შუამავალთან თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილთან, რომელიც აგრეთვე [illegible] გენერალს თავ. ჭავჭავაძეს. დეპუტატებმა უნდა სთხოვონ შუამავალს—დაგვეხმარე სოფელს: ყაზახებსა და ეკზეკუციებს გვაშორე და როგორც სხვაგან მოხდა შეთანხმება, ისე მაინც იყოს ჩვენს სოფელშიო.

რუსეთის ქრონიკა

ბულიგინის პროექტი. „პრავო"-ს სიტყვით, მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი ცვლილება შეუტანია ბულიგინის პროექტში, მაგალითად, საბჭოს ნაუმატებია, რომ მომავალ პარლამენტის ამომრჩეველთა შორის იქნებიან ყველა ქალაქის მობინადრენიც. ებრაელები ისეთსავე მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სხვები.

ზავი და ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა. პეტერბურგში ხმა დადის, რომ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა სხვა დროისთვის გადაიდოო. მიზეზი ისა ყოფილა, რომ მალე მოლაპარაკება გაიმართება ზავის ჩამოგდების შესახებ. („პ.").

აღკრძალვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოხდინა, რომ საცენზურო კომიტეტმა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის ნება დაურთველად არავის დაუმტკიცოს სხვა და სხვა საზოგადოებას წესდება, („რ. ს,").

ყრილობის აღკრძალვა. ხარკოვის გუბერნატორმა აუკრძალა გლეხებს ნება დაურთველად ყრილობის მოხდენა. („რ. ს.").

სოფლის მასწავლებელთა დადგენილებანი. ესტლანდიის სოფლის მასწავლებელთ შეუმუშავებიათ თავიანთი მოთხოვნილებანი. მასწავლებელნი თხოულობენ: 1. სიტყვის, პიროვნების, კრების, ბეჭდვის და სინიდისის თავისუფლებას; 2. საპედაგოგიო საქმეებში ადგილობრივ თვითმმართველობის შემოღებას; 3. სკოლების სასარგებლოდ გადასახადის დაწესებას შემოსავლის რაოდენობის მიხედვით; 4. სასკოლო ინსპექტორების და დირექტორების თანამდებობების გაუქმებას; 5. ეკლესიის განშორებას სკოლისაგან; 6. ესტონურ ენის შემოღებას სკოლებში (რუსული ენა უნდა ასწავლონ, როგორც ცალკე საგანი); 7 უფასო სწავლებას სოფლის სკოლებში; 8. მასწავლებელთ ჯამაგირად დაუნიშნოთ არა ნაკლებ 360 მანეთისა და ამას გარდა ყოველ ხუთ წელს მოუმატოთ 60 მანეთი; 9. მოხუც მასწავლებელთ დაუნიშნოთ პენსიად ჯამაგირის ერთი მესამედი; 10 შესდგეს კომისია, რომელმაც უნდა მიიღოს და დაითხოვოს ხოლმე მასწავლებელნი. კომისიის წევრთა ნახევარს მასწავლებელნი უნდა შეადგენდნენ; 11. ზაფხულობით გაიმართოს უფასო კურსები მასწავლებელთათვის. („პ. გ.").

მოღვაწეთა გადასახლება. ოდესიდან გადაასახლებიათ ის საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ერობისა და ქალაქის წარმომადგენელთა კრებას დაესწრნენ მოსკოვში.

უგზო-უკვლოდ დაკარგული მატროსები. რუმინიის ქალაქ გალაცში დაკარგულა ხერსონის ქარხანაში მომუშავე 15 მატროსი, რომელნიც „პოტემკინიდან" იყვნენ გადასულნი. ამათ გარდა რვა რუსის მატროსი კიდევ სხვა დაკარგულა უგზო-უკვლოდ. ამ მატროსების „გაქრობას" აწერენ ერთ უცხო ქვეყნების გემის უდროვოდ გასვლას გალაციდან. რუმინიის ზოგიერთ ქალაქებში რუსების მატროსთა დამცველი კომიტეტები შესდგარა. გალაცში უნახავთ რუსეთიდან ჩასული მშვენიერად გაწყობილი მანდილოსანი, რომელიც ცდილობდა თურმე ენახა დაკარგული მატროსები. ამბობენ ამ მანდილოსანმა გაიტყუა მატროსები გემადისაო... („რ. გ.").

საიდუმლო ყრილობა. დონის როსტოვის მახლობლად 11 ივლისს პოლიცია თავს წაადგომია ხალხის დიდ ყრილობას, რომელიც მშვიდობიანად თურმე იქცეოდა. პოლიციას ყაზახების დახმარებით ოთხასი კაცი დაუპატიმრებია, სხვები კი გაქცეულან. („რ. გ.").

ფოსტის ახალი კანონი. როგორც „რუს"-ს შეუტყვია, კერძო პირთა წერილებს მინისტრთა კომიტეტის სახელობაზე არა თუ პროვინციის ფოსტის განყოფილებებში, თვით პეტერბურგის უმთავრესს ფოსტაშიაც აღარ იღებენ თურმე. („რ. გ.").

ცენზორიც ასეთი უნდა. ტომსკში რამდენიმე დღით ცენზურის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნულ საგანგებო საქმეთა მოხელეს ვასილიევს წაუშლია ხელმწიფის სიტყვა, 21 ივნისს დეპუტაციის მიმართ გამოთქმული. („რ. გ").

გლეხთა მოძრაობის განახლება. მოკიდოვის მაზრაში დროებით შეწყვეტილ გლეხთა მოძრაობას ისევ უფეთქნია ისეთის ძალით, რომ საჭირო გამხდარა ჯარის ჩარევა. ს. დერევიანკას, ვოროპოვნიასა, სურაკატში და გიბალოვკაში უკვე გაუგზავნიათ ასი ყაზახი, რადგან პოლიცია და ადგილობრივი სოფლის მოხელეები ვერას გამხდარან აჯანყებულ გლეხთა წინააღმდეგ. გლეხები თვითონ ხელს იღებენ ყოველ გვარ მუშაობაზე და არც სხვა მხრის მუშებს უშვებენ თურმე სოფელში. დაპატიმრება და მოთავე პირთა განშორება სრულებითაც არ აშინებს თურმე გაფიცულ გლეხებს. („რუს. ვედ.").

წერილები

ს. ხორში, (სამეგრელო). აქ შიმშილობა დაიწყო. ზოგიერთები იანვრიდან ყიდულობდნენ სიმინდს. სიმინდის ფასმაც ძალიან აიწია—60—65 კაპ. იყიდება ფუთი და ისიც პეპლად გამოსული. ხალხი ძალიან გაღარიბებულია. ცალკე სხვა და სხვა სნეულება აწუხებს, შველა არსაიდან არის.

ამას წინად გლეხებმა „გადასწყვიტეს", რომ კანცელარიას სკოლის შენობა დაუთმონ, ხოლო სკოლისთვის ახალი შენობა აგონ. ამ გადაწყვეტილებაში თავად-აზნაურობაც ერია და სრული თანაგრძნობა გამოუცხადა გლეხობას. მაგრამ 10 ივლისის ყრილობაზე თავად-აზნაურობამ უარი სთქვა: ერთბაშათ დაგემარებით და სხვაფრივ არ ვიკადრებთ თქვენთან ერთობასო. ამაზე გლეხებმა უარი უთხრეს: ჩვენ მოწყალება-კი არ ვთხოულობთ; თუ გვიერთდებით, სრულად შეგვიერთდით, თუ არა-და თქვენთან ყოველგვარ კავშირს ვსპობთო. ხალხი მშვიდობიანად დაშლას აპირებდა, რომ გაჩნდა ერთი „სტრაჟნიკი" დიდი უბედურობა დატრიალდებოდა, რომ ზოგიერთებს ხალხი არ დაემშვიდებინათ და უცნაური „მცველი" არ მოეშორებინათ. **დიმიტრი.**

ს. ქარელი, (ქართლი). არც ქარელს სძინავს. აქაური გლეხებიც თვალს ადევნებენ თანამედროვე ცხოვრებას. სულითა და გულით მოელიან იმ დღეს, როცა რაიმე შველა მოევლინებათ და განთავისუფლდებიან ათასნაირ გაჭირვებისაგან. მანამდე-კი დიდ ტანჯვას და წვალებას ითმენენ.

აქაურ გლეხებსა და თავადებს შორისაც ცუდი განწყობილებაა. მეტადრე უნდობლად უყურებენ აქაური გლეხები მილიციის წევრებს. თუმცა არა ჩვეულებრივი ჯერ არაფერი არ ჩაუდენიათო.

14 ამ თვეს ვანო ტატიშვილის მეთაურობით გორიდან წარმოდგენის გასამართავად გვეწვია ყმაწვილ კაცთა ჯგუფი. წარმოადგინეს „ფული და ხარისხი" აზიანისა. დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი. წარმოდგენამ, რომელსაც დიდ ძალი ხალხი დაესწრო, კარგად ჩაიარა. დიდი უნარი გამოიჩინეს ახალგაზრდა სცენის მოყვარეთ. **დ.**

პილურტი (ქართლი). რაც დრო გადის, უფრო ფართოვდება საუფლისწულო მამული. როგორც შევიტყვეთ, ს. მჭადიჯვრის მებატონე ა. მუხრანბატონი თურმე აპირებს თავისი მამული გადასცეს ხსენებულ უწყებას და ამ განზრახვის აღსრულებაში მოსაყვანად ივნისის უკანასკნელ რიცხვებში მოვიდა კომისია ს. მჭადიჯვარში მამულების დასათვალიერებლად და დასაფასებლად. როდესაც კომისია მამულების დასათვალიერებლად დადიოდა, ა. მუხრანბატონის შვილი უძღოდა, შეხვდა ს. პილურტელების გუთნეულებს თავის მამულში, დაიჭირა, ჩარეკა სასახლეში და სანამ სულზე აბაზი არ გადაახდევინა, არ დაანება. მოგეხსენებათ, მკითხველო, რომ გაზაფხულობით, თუ ყველგან არა, მომეტებულ ნაწილად მაინც სოფლად პური აკლიათ. დუშეთის მაზრა ხომ ყველას გაუსწრობს ამ შემთხვევაში. იგი ცნობილია როგორც უღარიბესი ადგილი. 90 კომლიან სოფელში მოსახლე არ არის, რომ პურს არ ყიდულობდეს იანვრიდანვე, ამიტომ დიდს გაჭირვებაშია თურმე ხალხი ჩავარდნილი. უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, ნათქვამია, სწორედ ასე პილურტელებს დაემართათ: პურის ფულის შოვნა უჭირდებოდათ. დღეს დღიურად ძლივს გამოდიოდნენ და ახლა საქონელი გაუხდათ დასახსნელი. საქონლის დასახსნელ ფულის შოვნა გაუჭირდათ პატრონებს და ორი თუ სამი დღე გუთნეები უდგებოდათ თურმე. პილურტელებისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორც მითხრეს, არა მგონია სხვა სოფელი მოიძებნებოდეს. გარშემო ცხრა თუ ათი მებატონე ახვევიათ და ისე ფეხს ვერ გადაადგამენ, რომ ვისიმე მამულში არ შევიდნენ, ესენიც აწიოკებენ ამ საწყლებს. არ გავიდნენ და 90 კომლ სოფელს ისე ცოტა მამული აქვს, რომ ამ მამულში მათი მოთავსება ყოვლად შეუძლებელია. უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივნულან მას შემდეგ, რაც მათთვის საძოვრად მიცემული მამული ჩამოურთმევიათ და ყორუღებად გადაუქცევიათ. ეს ერთი.

მეორე: უხსოვარ დროიდან მათ მამა-პაპათ მიუციათ ოც დღიურამდე სახნავი მამული კრებულისათვის სახმარებლად (დღემდის ამ მამულს „ხატის მიწებს" ეძახიან). როდესაც მ. იოანნე კეზელი გადასულა პილურტის სამრევლოში, უხმარია ეს მამული, ხოლო როდესაც საეკლესიო მამულები სახაზინოდ გადავიდა, მ. იოანნეს თავის სახელობაზე აუღია როგორც оброзная статья. იქმნება 30 წელიწად მ. კეზელი გადასულა ამ სამრევლოდან, მაგრამ ხსენებული მამული მის ხმარებაში ყოფილა. როგორც მითხრეს, პილურტელებს არ გაუგიათ და არც არავინ შეატყობინა თურმე, როგორ ის პირობით იღებდა მ. კეზელი ამ მამულებს ან როდის იღებდა, ალბად, სახელმწიფო მამულების აგენტს ისე ეგონა, რომ იგი ისევ პილურტის სამრევლოში მსახურებდა და ამიტომ არ გამოსწირა, თორემ რომ პილურტელებისათვის გაეგებინებინათ, ეს მამულები იჯარით იძლევაო, სხვას არ დაასაკუთრებდნენ. მ. კეზელი ჩვენ მამულში ჩვენვე გვახდევინებს დღიურზედ 2—3 მანეთსაო. მეტი დაბრიყვება კიდევ შეიძლება? ერთი ნაჭერი ამ მამულებისა, რომელიც მ. კეზელს თავის შვილისათვის გადაუცია, პილურტელებს ვენახად უქცევიათ. როდესაც „ერთობის" სიომ დაჰბერა ქვეყანას, პილურტელებს განუზრახავთ ამ მამულების ჩამორთმევა, თხოვნაც გაუგზავნიათ, სადაც ჯერ არს. გაუგიათ თუ არა ეს ამბავი, ერთი ვაი-უშველებელი აუტეხიათ, პოლიციაში, ქაღალდს-ქაღალდზე ჰგზავნიან, არიქა გვიშველეთ მამულს გვართმევენო. ადმინისტრაციაც პილურტელებს ძალას ატანს—გინდა თუ არა, ვენახში გათიბული თივა უნდა მისცეთო. ესენი კიდევ არ აძლევენ და კაცმა არ იცის, რით დაბოლოვდება საქმე.

ყოფილი ფხალაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

კორესპონდენტებმა ნიშანში ამომიღეს და ჯოჯოხეთს მუგუზალს უმატებენ. მართალი რომ სწერონ, რა გვეთქმის, მაგრამ უბრალო შემთხვევას აზვიადებენ და ასეთ ამბავს ქვეყანაზე ჰფენენ ჩვენდა სახელის გასატეხად. ყველა არ ითქმის და არც დაიწერება. აღელვებულ ხალხს ჭკუის მასწავლებელნი თავიანთ სურვილზე ატარებენ და ჩვენ [illegible] აღარა ესმით-რა. ბევრს, ძალიან ბევრს ვუთმობთ შედარებით იმასთან, რაც წინად იყო, მაგრამ ამ დათმობას დათმობად არა სთვლიან და არ გვირიგდებიან ხმა-ამოუღებლივ თუ დავთანხმდით და მივეცით რასაც გლეხ-კაცნი გვეუბნებიან, აი [illegible]

ვცემდეთ ბრძანებასა და მოვილებდეთ მოხსენებასაო, ხოლო ამისდა მიხედვით „რომელთამე ვრისხავდეთ, რომელთამე ვწყალობდეთო"; საქმის ერთგულს და ბეჯითს წყალობას გაუმრავლებდნენ, ხოლო დაუდეგარ და დამნაშავე მოხელეებს დასჯიდნენ; შესაძლებელია ამ შემთხვევაში თანამეფეცუდთ უმაღლესი მართლმსაჯულების ხელში ჩაგდებაც სურდათ დისს უნდოდა ერთი სიტყვით ქვეყნის უმაღლესი გამგეობა და სამართალი მისი „მართებანი და განსაგებელი ყოფილიყო; ყველა ამ საქმეებს მამისდელ დროში „სახელოთა და საბჭოთა საჯა"-ს ეძახდნენ; ხოლო დავით აღმაშენებლის მემატიანეს სიტყვებიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ „სახელოთა და საბჭოთა საჯა" მეფის პირად მოვალეობასა და უფლებას შეადგენდა. ამიერითგან საქართველოს ბატონს ეს უფლება უნდა ჩამორთმეოდა და ახალ საგამგეო დაწესებულებას გადასცემოდა. თანამეფეცუდთა სურვილისამებრ ხელმწიფეს მხოლოდ ამ საგამგეო დაწესებულების გადაწყვეტილების გახორციელების უფლება და უნდა შერჩენოდა მხოლოდ. ეს ცხადადა სჩანს მათის სიტყვებიდან: „ამას ესრეთ ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფეს და დედოფალსა და მუნდა სრულ იქმნებოდის განგებული ჩვენიო". მაშასადამე საბჭო, ანუ კარავში მსხდომარენი" საქმეებს განაგებდნენ, მეფე-კი მხოლოდ მათ გადაწყვეტილებას ასრულებდა; ერთი სიტყვით საქართველოს უმაღლესი მართვა-გამგეობა „კარავში სხდომარეთა" ხელში უნდა გადასულიყო, მეფე-კი აღმასრულებელ ორგანოდ გახდებოდა. ამ გვარად თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და საქართველოში პარლამენტის მსგავსი დაწესებულება დაარსებულიყო.

მემატიანე ამბობს, თამარმა რომ ეს ამბავი შეიტყო, „ეწყინა და გაიკვირვაო". აბა რას არ ეწყინებოდა ასეთი უფლების შეკვეცა და შეზღუდვა. მაგრამ წყენით, რასაკვირველია, ვერაფერს გააწყობდა. ვერც მოთავის დაჭერამ ჩააქრო და გაანელა ეს საგულისხმიერო პოლიტიკური მოძრაობა, პირიქით უფრო რომ გაამწვავა კიდეც. მეფის უფლების შეზღუდვის მომხრეთა დასი, როგორც ჩანს, ძლიერი ყოფილა და საუცხოვოდ შეთანხმებული. მემატიანეს [illegible] გვიჩვენებს, რომ ახალ წესწყობილების მომხრეებს ერთი ერთმანეთისთვის შეუფიცნიათ ჩვენ წადილის განსახორციელებლად ერთად ვიმოქმედებთ და დავეხმარებითო, ამის გამო ისტორიკოსი მათ „თანაშეფიცულებს" ეძახის; ეტყობა ერთგულობისა და ერთსულობის ფიცის სიმტკიცის წიგნიც შეუდგენიათ; ეს იქიდანა სჩანს, რომ მემატიანე ამბობს, ყუთლუ-არსლანის დაჭერის შემდეგ მათ „ყვეს ახალი სიმტკიცე და ფიცით", ეტყობა წინადაც ჰქონიათ სიმტკიცის წიგნი, რაკი ახალსა ადგენდნენ. თუ რამდენად თავგამოდებულები იყვნენ თანაშეფიცულნი ერთიერთის გულისათვის მაშინ გამოაშკარავდა, როცა მთავრობამ მოთავე დააჭერინა; ისინი ფიცხლავ შეიყარნენ ერთად, თამარს გაუგზავნეს და ფიცი დასდეს, რომ „ყუთლუ-არსლან გაუშვებინონ და არა მიუშვან ვნებად მისა". თავიანთ წადილის ასრულების გულისათვის ისინი უკიდურესს საშუალებას-ც-კი არ შეუშინდნენ. სამეფო პალატს გარს შემოერტყნენ და „ყვეს საქმესა შეუკადრებელსა და ბრძოლად უბრძოლველსაო", ამბობს მემატიანე. როგორც ეტყობა სამეფო სასახლის აღებას და თამარის დატყვევებას აპირებდნენ. უეჭველია, თანაშეფიცულნი ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ, რაკი ასე გაბედულად და რიხიანად იქცეოდნენ, ხოლო თვითმპყრობელობისა და მთავრობის მომხრენი იმდენად უძლურნი აღმოჩნდნენ, რომ თამარ მეფემ ძალას ძალა ვერ დაუპირდაპირა და განსაცდელის თავიდან ასაცილებლად იძულებული იყო მოწინააღმდეგეებისათვის შუამავლად და შემარიგებლად მანდილოსნები გაეგზავნა. აშკარაა მთავრობას რომ ბევრი მომხრეები ჰყოლოდა, მაშინ ისინი ალყაშემორტყმულ სასახლეს მიეშველებოდნენ და ხელმწიფეს სამარცხვინო ტყვეობიდან დაიხსნიდნენ, მაგრამ ეტყობა თამარმა დაინახა, რომ ძალით ვერას გახდებოდა და ისევ მოლაპარაკება ირჩია. „მშვიდობის მეძიებელმან მან წარავლინა ორნი პატიოსანნი დიოფალნი, უბრძანა ფიცით მონდობა და სხვისი არავისი შრალობა" (ქარ. ცხ. 409) გაგზავნილმა მოციქულებმა დედოფლის მინდობილობა საუცხოვოდ ასრულეს: თანაშეფიცულნი „მოვიდნენ წინაშე თამარისა და დაურდომით თაყვანი სცეს და აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს პირი ერთგულობისა და ნებისყოფისა მისისაო"-ო (ibid. 409), მოგვითხრობს მემატიანე.

განხეთქილება ერთი სიტყვით მშვიდობიანად დაბოლოვებულა, იმიტომ რომ თამარ მეფემ ისევ მორიგება ირჩია. სამწუხაროდ, ისტორიკოსი არ ამბობს რის ფიცი აიღო ყუთლუ-არსლანის დასმა მეფისაგან; ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეებმა ჯერ მეფეს ჩამოართვეს ფიცი, მერე თითონაც „მისცეს პირი ერთგულობისა". ასე გათავდა ეს ჩვენის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების საგულისხმიერო და დიდი შემთხვევა.

რა შედეგი ჰქონდა ამ შესანიშნავ პოლიტიკურ მოძრაობას, ნაყოფიერი იყო იგი, გაიმარჯვა თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეთა დასმა და საქართველოს მეფე იძულებული იყო საგამგეო და საბჭო საქმეები ახალ დაწესებულებისათვის დაეთმო თუ მეფემ აჯობა თავის მოწინააღმდეგეებს და სახელმწიფო წესწყობილება ხელუხლებელი დარჩა? სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ქართული იურიდიული საბუთები ძალიან ცოტაა გამოქვეყნებული და ამის გამო მკვლევარს არ შეუძლიან სთქვას, დასდეს თუ არა თანაშეფიცულებმა და თამარ მეფემ შეთანხმების ხელშეკრულობა. ეხლა-კი რადგან საბუთები ჯეროვნად შესწავლილი არ არის, ჩვენ ამ საკითხის გადასაწყვეტად სხვა რაიმე საბუთებსა და მოსაზრებას უნდა მივმართოთ. ყურადღების ღირსია მაგალითად რომ მემატიანე სწორედ ამ პოლიტიკურ მოძრაობის თავგადასავალის მოთხრობის შემდეგ, როცა სიტყვას ახალ მოხელეთა დანიშვნაზე ჩამოაგდებს ხოლმე, ერთ ფრიად საგულისხმიერო წინადადებასა ხმარობს ხოლმე; მაგალითად, ახალ ამირსპასალარის დანიშვნის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: თანადგომითა და ერთნებობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა გააჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი" (ქარ. ცხ, 410). ვინ დანიშნა ახალი სარდალი? თამარმა, მაგრამ საქართველოს დიდებულთა „ერთნებაობითა და თანადგომითა", მაშასადამე ნება და სურვილი, ანუ განზრახვა, მოხელეს მოადგილეს დასახელების უფლება დიდებულთა ხელშია ეხლა, მეფე-კი მხოლოდ ამ ერთნებაობას ასრულებს; ერთი სიტყვით ამირსპასალარის დანიშვნა დიდებულთა განგებული საქმე იყო, ხოლო თამარ მეფეს სრულ უყვია დიდებულთა განგებული. აქედანა სჩანს, რომ თვით მპყრობელობის შეზღუდვის მომხრეთა დასის გაფიცვას სრულებით ამაოდ და უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ნაირი წინადადება არც ერთ ქართველ ისტორიკოსს ამაზე წინად არას დროს არ უხმარია.

დიდებულთა თანადგომითა და განზრახვითა დანიშნეს აგრეთვე კაი ხნის შემდეგ ახალი მწიგნობარი უხუცესი და ვაზირი ანტონ საღირისძე; ისტორიკოსი ამბობს: „ყოველთა ადგილთა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა განზრახვითა ესე დასვეს ვაზირად, მოსცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისისხევი და მწიგნობართ უხუცესობა"-ო (ქარ. ცხ. 426). დიდებულნივე სწყვეტდნენ ხოლმე ომისა და მშვიდობიანობის საქმეს; მემატიანე მოგვითხრობს, მაგალითად, რომ „გუთარ [illegible] მქრად წვევა მხარ-გრძელთაგან [illegible] ყოველთა თქმული მათი და დასკვნ[illegible] მქრობა"-ო (ქარ, ცხ. 478). ერთი სიტყვით ისტორიული მასალები ამტკიცებენ, რომ თანაშეფიცულთა პოლიტიკურ მოძრაობას სრულებით უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

დიახაც დიდის ყურადღების ღირსია ეს ჩვენი წარსულ სახელმწიფო ცხოვრების მოვლენა; საყურადღებო და საგულისხმიერო იმიტომაა, რომ ყუთლუ-არსლანის დასი საქართველოს ბატონის თვითმპყრობელობითი უფლების შეზღუდვას იყო მოწადინებული და დიდგვარიან აზნაურთა დასისავით წოდებრივ განსაკუთრებულ უპირატესობისა და უმაღლესს მოხელეობის მოხვეჭით არ იყო გატაცებული; მას ჰსურდა ხელმწიფის უფლება შეეზღუდა და საქართველოში ახალი მმართველი დაწესებულება დაფუძნებულიყო, ერთის სიტყვით, ამ პოლიტიკურ მოძრაობას წოდებრივი ხასიათი არა ჰქონდა და მარტოოდენ სახელმწიფოს წეს-წყობილების ცვლილების გულისათვის იყო ატეხილი.

ჩვენ არ ვიცით რა წელს მოხდა ეს ისტორიული მოძრაობა მკვლევარს მხოლოდ დაახლოვებით შეუძლიან გამოარკვიოს თარიღი; სახელდობრ იგი 1200 წლამდე (ან 1195 წლამდე იხ. ჟორდანია, ქრონიკები I, 282) უნდა მომხდარიყო; ამ დრო არის დაწერილი თამარ მეფის ისტორიის პირველი ნაწილი, სადაც სწორედ ეს ამბავია მოთხრობილი; მაშასადამე იგი 1189 და 1200 (ან 1195) წლების შორის უნდა მომხდარიყო. როგორ მოქმედობდნენ ამ პროგრესიულ დასის წარმომადგენელნი შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ჯერ-ჯერობით ჩვენ ამას არ შეგვეხებით ან კი რა უნდა ემოქმედნათ, როცა მონღოლთა შემოსევამ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება და წარმატება დიდის ხნით შეაფერხა და დაასუძლურა, ხოლო ჩვენი ერი უკიდურესს განსაცდელში ჩაგდო...

ივანე ჯავახიშვილი

პეტერბურგი. 30 მაისი 1905 წ.

შერიგება და შეთანხმება. დამეთანხმებით, რომ ეს არც შერიგებაა, არც შეთანხმებაა, სულ სხვა ხილია, მამულის პატრონის კბილის-მომჭრელი.

ჩავცვინდით ასეთ აუტანელ და შეგაჭირვებულ მდგომარეობაში გაზაფხულის პირიდან. რაც ხანი გადიოდა, ურთიერთობა მწვავდებოდა, შველა და სახსარი არსაიდან სჩანდა. თქვენის გაზეთის 18 ივლისის ნომერში ეწერა, რომ მუშაობა მოგვწყინდა და სოფელს დავერიეთო*). სიმართლესაა მოკლებული ეს ცნობა. რა დროს მოწყენაა, როდესაც დღევანდელი დღე გადატაკებას გვიქადის და შეიძლება კულით ხორცამდე დაგვლუპოს. გაორკეცებულის მხნეობით ვმუშაობთ და საკუთარის ძალ-ღონით შევიმუშავეთ ქირნახული, სხვა მუშა და სოფელი არ მიგვიკარებია. ჩვენი მინდორი დიდია, 3000 დღიურზე მეტი და ამ უშველებელ ველზე იკრიბება ქინახული არა ნაკლებ 100,000 მ. რადგან გლეხ-კაცობა და ჩვენც, მამულის პატრონი, ვერ გავუძღვებით საქმეს, სათიბ-სამკალად ვიშველიებთ ოსებს, დღეში 1 მან. ვაძლევთ თითოს და ვასმევ-ვაჭმევთ. წელსაც ჩამოვიდა ოსობა. იხმარიებენ ოსებს გლეხებიც. სოფლელებმა არ მოგვისვენეს, დაგვიფთხეს ოსები და მოსამსახურენი. ბევრი ვეხვეწეთ სოფელს, თავი დაგვანებეთ, აუარებელ ქინახულს ნუ გვიღუპავთ. არა ჰქნეს უმოსამსახუროობას გავუძლებთ, მაგრამ ოსების გარეკა ყელსა გვჭრიდა, იღუპებოდა აუარებელი კარზე მომდგარი დოვლათი და ზინათი.

რაკი ოსები არ დამიყენეს, ავდექი და მეც გავურეკე გლეხებს დაქირავებული მუშა ოსები: თუ ერთობაა და საკუთარის ხელითაა საჭირო მუშაობა, ნურც თქვენ გეყოლებათ მოსული კაცი მეთქი. ვიყავით ასე გაალმასებული და გაბოროტებული ორივე მხარე კარგა ხანს. ჩვენი და გლეხთა ძარჩენალი ქირნახული-კი ეყარა მინდვრად უპატრონოდ. ძვირფასი დრო მუშაობისა მიდიოდა. ხომ მოგეხსენებათ ზაფხული სოფლისათვის სისხლის პურის ჭამის დროა. ველარ ავიტანეთ ბუტიაობა და ისევ ჩვენ მივიღეთ ღონისძიება როგორმე მოგვევლო თავზე დატეხილ ჭირისათვის. არდიონ ამირაჯიბის დახმარებით მორიგება ჩამოვარდა ჩვენსა, არადელებსა და წვერელებ შორის. დათმობით ბევრი დავთმეთ, დიდად ვიზარალეთ, თვით გლეხკაცნი აღიარებენ ამას, მაგრამ რა გაეწყობა, გულიდან ლოდი მოვიხსენით. გლეხთა სიამოვნება და დაკმაყოფილება ვარჩიეთ აუტანელ ყოფას და პირის-პირ საომრად დგომას.

რაკი ნავსი გატყდა, ჩარხივით დატრიალდა საქმე და მოვურიგდით აგრეთვე თქვენატკიცელებს და შაქშაქნელებს. სალოლაშენშიც მშვიდობით გათავდა საქმე. აქაც ბევრის ბევრი დაუთმო სოფელს მამულის პატრონმა.

თოფის სროლის ამბავი ჩემ მიერ სისწორით არაა აღნიშნული თქვენს გაზეთში. ცეცხლ მოკიდებულ დროს ვერიდებით ასეთ საქციელს. თოფის სროლა იყო, მაგრამ სხვა აზრი ჰქონდა. რამდენმამე აზნაურმა დაარღვია ჩვენი გადაწყვეტილება დაქირავებულ მუშების შესახებ. შესაშინებლად ჰაერში ვისროლეთ თოფი, ეს იყო და ესა. მთელმა სოფელმა აღიარა და კიდეც მიმოწმებენ, რომ მე თოფი გლეხისათვის არ მისროლია და არც არავინ გამილახავს. ერთმა ბრეთელმა ყმაწვილმა ჩემ ბაღში თოფი გაისროლა. მასთან ყოფილიყო ოთხი შეიარაღებული კაცი. სამაროდ მოსულებს გამოვეკიდეთ და ბრეთში ერთ სახლთან მოგვიხდა სროლა. გვეგონა მტერი იქ დაიმალაო. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობით გათავდა და ვნება ზარალი არავის მისცემია.

იმედია, ბატონო რედაქტორო, კრიჭას არ ამიკრავთ და თავის გასამართლებლად ამ წერილს დაბეჭდავთ.

აბელ აბელის ძე კალატოზიშვილი

---

*) ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ქართლიდან ამოსულ გლეხის ნაამბობი. ამას გარდა მივიღეთ ოთხი კორესპონდენცია და ოთხშივე ის იყო მოთხრობილი, რაც გლეხმა გვიამბო. ესეც არ იყოს, ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ ფაქტებს არც თვით ბ-ნი კალატოზიშვილი ჰყოფს უარს. **რედ.**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

18 ივლისი.

ოისტერბეი, 18 ივლისი. როზენმა რუზველტთან ისაუზმა, უმთავრესი საგანი რუსეთის ელჩის ნახვისა იყო ვიტტეს სადარბაზოდ მომზადება პრეზიდენტთან. დარბაზობა, უთუოდ, შემდეგ ხუთშაბათს მოხდება, ორის დღით ადრე. ვიდრე პრეზიდენტი რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთ მიიღებდეს.

კოპენჰაგენი. აქ მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი იახტა „ჰოგენცოლლერნ“-ზე.

სიპინგაი. როგორც ხმებია, იაპონელები სიმაგრეებს აგებენ ფრონტზე, დაახლოვებით შახეძი-ლიანცუნჩენცზის გასწვრივ; მთები მაღალი და ფრიალოა, რაც ხელს უწყობს პოზიციებზე მიუსვლელობას. რადგანაც ისეთ პირობებში არიან, ეტყობა, განზრახვა არ აქვთ თვითონ გაილაშქრონ წინ ამ მხრივ. იაპონელები ამაგრებენ ლინსუნჩენცზი-ერდაგოი-ტუნხუნსიანის ხაზის ფრონტს. ისინი საყურადღებო ბრძოლას ერთის თვის შემდეგ მოელიან. ჩინელების სიტყვით, იაპონელების ზურგის ჯარების რაიონებში მდ. ხუნხესა და ჩაიცხეზე ხოლერა ძლიერდება.

ლონდონი. კომპირედოუერმა მიჰმართა მთავრობას ლორდების პალატაში რუსების მიერ ბრიტანეთის გემებ „კილდა“-ს და „აიკონა“-ს ჩაძირვის შესახებ. ლანსდოუნმა აუწყა, რომ პეტერბურგში უკვე მოხდა შეკათხვა დიდ ბრიტანიის ელჩის პირით ხსენებულ ინციდენტის შესახებო. რუსეთის მთავრობას მოსთხოვს ბრიტანია ზარალის ანაზღაურებასო. მიუხედავად რუსეთის საპრიზო სასამართლო გადაწყვეტისა, რუსეთის მთავრობა იმ აზრისაა, რომ მებრძოლ ქვეყნების გემებს ნება აქვთ ჩასძირონ, უკიდურეს შემთხვევაში, ნეიტრალური გემებიო. ბრიტანეთის აზრით სავაჭრო გემები, კრეისერებად გადაკეთებული სამხედრო გემებად ითვლება, მაგრამ მათი მდგომარეობა განსხვავდება მებრძოლ მხარეების გემების უფლებისაგან სამხედრო გემების ჩაძირვაშიო.

ვლადივოსტოკი. ჰორიზონტი ნისლით არის დაფარული. გაჰქრება თუ არა ნისლი, ჰორიზონტზე გამოჩნდება იაპონიის გემების ცეცხლი და უცბად გაჰქრება.

პარიზი. საფრანგეთის გაზეთები ცოტა ყურადღებას აქცევენ ბალტიის ზღვის დახურვის პროექტს. „ტან“-ს შეუძლებლად მიაჩნია ამ პროექტის განხორციელება საერთაშორისო კონვენციებისა გამო.

ცეტინიე. მოვიდა რუსეთის ახალი ელჩი მაქსიმოვი.

ელისავეტგრადი. საქონლის სადგურის მოსამსახურეები და ტვირთების მიმღებნი შუამდგომლობენ კვირაობით დასვენების შესახებ.

მოსკოვი, 18 ივლისი. უნივერსიტეტში 600 მისალები და 500 გადასაყვანი თხოვნაა შეტანილი მესაათის მაღაზიის ორის ბიჭის მკვლელნი დაიჭირეს იმ დროს, როცა ნაძარცვ ნივთებს ჰყიდდნენ.

ივანოვო ვოზნესენსკი, 18 ივლისი. მუშათა დეპუტაციამ განუცხადა უფროს ინსპექტორს, რომ სურვილი გვაქვს წინანდელ პირობებში დავიწყოთ მუშაობაო. ამას იმით ხსნიან, რომ ცხოვრება გაუჭირდათ. საქმის პატრონთაგან პასუხი ჯერ არ მიუღიათ. ფაბრიკები ისევ გაჩერებულია.

ვილნო. ვილნოში სჯა-ბაასი ექნებათ ივლისის გასულს ადმინისტრაციისა და სამოსწავლო უწყების წარმომადგენლებს პოლონურ და ლიტვურ ენებზე სწავლების შემოღების შესახებ. ქალაქის გამგეობას საბჭოში საკითხი შეაქვს ხელმწიფისა ტრუბეცკოისა და ფიოდოროვის 6 ივლისს წარმოთქმული სიტყვების ბროშიურებად დაბეჭდვის შესახებ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

18 ივლისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და 17 ივლისს შემდეგი წააწერა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარდგენილ უქვეშევრდომილესს ადრესს ხაბაროვსკის ქალაქის საბჭოსას: **„ერთიანად ვიზიარებ იმ გრძნობებს, რომელნიც აღფრთოვანებს ხაბაროვსკის ქალაქის საბჭოს და მადლობას ვუცხადებ მას“.** ხაბაროვსკის საბჭოს დეპეშა შემდეგის შინაარსის იყო: „დიდებულო ხელმწიფეო, ჩვენ, ამურის პირის მცხოვრებთ გული გვიწუხს იმ მძიმე განსაცდელის გამო, რომელსაც განიცდის რუსეთი როგორც საშინელის გარეშე ომისა, ისე შინაურის სასტიკის არეულობის გამო, სულით და გულით ვშიშობთ, ვაი თუ დიდის რუსეთის პრესტიჟი შეარყიოს ნაჩქარევად ჩამოგდებულმა ზავმა, ვკადნიერდებით და ხმას ვაწვდით შენს ტახტს და გთხოვთ, ხელმწიფეო ნუ დავჰყრით იარაღს, სანამ მტრის ჯიუტობას არ ავლაგმავთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მტერი უკანასკნელ მიწიერ ძალას იკრებს, მაშინ როდესაც რუსეთს ჯერ კიდევ ბევრი ძალა დარჩენია. შენს ჯარებს, რამდენადაც ვიცით, გამარჯვება სწყურიანთ და მზად არიან მისთვის. ჩვენ ხაბაროვსკის მცხოვრებლები, მიუხედავად მოახლოვებულ საფრთხისა და მძიმე განსაცდელისა, რომელსაც განვიცდით ამ ჟამად, მზადა ვართ ბოლომდე ავიტანოთ ყველაფერი, მზადა ვართ გავიღოთ ჩვენი ქონება და თვით სიცოცხლეც, ოღონდ კი სამშობლო დღეგრძელობდეს. ჩვენ თავში არ ვუშვებთ იმ აზრს, რომ რუსეთის სამეფო აღიარებს თავისთავს დამარცხებულად და ტერიტორიის დათმობასა და კონტრიბუციის გადახდას დაეთანხმება. არც ერთი ციდა რუსეთის მიწა, არც ერთი მანეთი კონტრიბუცია—აი ერთად ერთი შესაძლებელი საფუძველი ზავზე მოლაპარაკების დასაწყებად: ხელმწიფეო, შენის ტახტიდან, დიდი ხანია, გამოაცხადე, რომ შორეულ აღმოსავლეთში რუსი ზღუდეთ უნდა იყოს აღმართული ყვითელი რასის ტალღის წინააღმდეგ. ვეებერთელა მხარეს ამურის პირისას, ალსავსეს სხვა და სხვა ნაირ სიმდიდრითა შეუძლიან იყოს და იქნება კიდეც ამ გვარ ზღუდეთ. დღეისამიერ მას ბედმა არგუნა გახდეს ასპარეზი ბრძოლისა და მეტოქეობისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. აზიის კერპთ-თაყვანის მცემელთა და ევროპის ქრისტიანეთა კულტურას შორის რომლის დამცველი და მატარებელი აზიაში დღემდე სლავიანების დიდებული რუსეთი იყო, დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს მხარეს და მისი საჭიროებანი განსხვავდება შენის სამეფოს დანარჩენ ნაწილისაგან, ამიტომ ვბედავთ ვიმედოვნოთ და ერთგულ ქვეშევრდომულად გთხოვოთ შენ, დიდებულო ხელმწიფეო, რომ, ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის დროს, არ იქნას დავიწყებული ჩვენი შორეული განაპირა კუთხე და მისი წარმომადგენლებიც იქნან მიწვეულნი საერობო კრებაზე.

გუნჯულინი. წასულ კვირას არმიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ვაშინგტონი. სატომ სთქვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარის მოთხოვნები გადააჭარბებენ რწმუნებას, მაშინ ესა თუ ის რწმუნებული თავის ხელმწიფეს შეეკითხებაო.

ნიუ-იორკი. იაპონიის მრჩეველმა სატომ აუწყა, რომ ვიტტეს ყოველივე რწმუნება აქვს მინდობილი ზავის ჩამოსაგდებადო. —გაზეთ „ხოში შიმბუნ“-ის რედაქტორის აზრით ჯერ ადრეა ზავი, სანამ იაპონია არ ისარგებლებს მთლიანად ომის შედეგებით.

კოპენჰაგენი. „დეილი მეილი“ დაბეჯითებით აცხადებს, რომ გერმანიის იმპერატორის პროექტი გერმანიის პრინცი ნორვეგიის ტახტზე დასვას არ იქნება სისრულეში მოყვანილიო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 15 ივლისი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	94,00
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	3772½
პარიზის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	85½
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	80½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	408½
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 2866 წ.	307
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	265½
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ, ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	27

მისვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ციფრებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ციფრებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 14 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 11 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპნიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში, ოფ ასუ ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომიასიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ავჭალაში იჯარით იძლევა

ბაღი

ექიმ მელიქოვისა, ზომით შვიდი დესეტინა. წყალი ბლომად არის. (4—240—2)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—18)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სალესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქროევისა. (30—18)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, იქვალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ზოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ავანგულოვისა	1	—

ყოველ-დღიური

გაზეთი „ცნობის ფურცელი“

ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიტანონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის ცახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—10)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხანინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—2)

სამუდამოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20

კარგაზის კეკლუცად მოხატული სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., **ჯგუფი** ქართველ მწერალთა 75 კ., **ჯგუფი** თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა ურიცხვი წიგნები.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ **სოსიკო მერკვილაძე**. (20—17)

ქუთაისში

ხამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Іюль 1905 г.

печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ—სა